# თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის
# სამოქმედო გეგმის ანგარიში
# 01.08.2021 – 22.07.2022

თბილისი

2022

## შინაარსი


უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის COVID 19-თან დაკავშირებულ შეზღუდვებთან ადაპტაცია ........ 6

ორგანიზაციული მოწყობა ........ 9

1. ორგანიზაციული სტრუქტურა ........ 9
2. მართვის მოდელი ........ 12
3. ხარისხის უზრუნველყოფა ........ 15
4. ეთიკის პრინციპები ........ 18
5. პლაგიატთან ბრძოლა და პრევენცია ........ 20

სწავლების კონცეფცია, საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტები ........ 23

6. საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება ........ 23
7. არჩევითი საგნები ........ 25
8. ინგლისური ენა ........ 28
9. პრაქტიკული სწავლება ........ 30
10. პრაქტიკული სწავლება ........ 33
11. შენობის სისტემების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა ........ 34
12. საგანმანათლებლო პროგრამები ........ 36
13. სწავლის შედეგების შეფასება ........ 39
14. აკადემიური მოსწრება ........ 41
15. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ........ 42
16. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად ........ 44
17. საბაკალავრო პროგრამების დასრულების მაჩვენებელი ........ 46
18. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვა ........ 47
19. მისაღები სტუდენტების საშუალო საკონკურსო ქულა ........ 49
20. პრეზენტაციები საშუალო სკოლებში ........ 50
21. ღია კარის დღეები აბიტურიენტებისთვის ........ 51
22. კონკურსები აბიტურიენტებისათვის და სტუდენტებისთვის ........ 52
23. აკადემიური პერსონალის დიდაქტიკური უნარების განვითარება ........ 56

უნივერსიტეტის პერსონალი (24-36) ........ 58

კვლევითი საქმიანობა ....................................................................................................60
37. ინსტიტუციონალიზაცია ...................................................................................................60
38. სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი ..............................................................63
39. კვლევითი/სახელოვნებო, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობის თანაფარდობა უსდ-ს მთლიანი ბიუჯეტთან ..........................................................................................................................66
40. საგამომცემლო საქმიანობა ...............................................................................................68
41. საგამომცემლო საქმიანობა ...............................................................................................70
საზოგადოებასთან ურთიერთობა ..........................................................................................71
42. ტექნიკური უზრუნველყოფა ...............................................................................................71
43. ვებ-გვერდი ........................................................................................................................73
44. სოციალური მედია ............................................................................................................75
45. ღონისძიებები ....................................................................................................................76
46. სასერტიფიკატო პროგრამები ............................................................................................77
ინფრასტრუქტურა ..................................................................................................................79
47. კონდიცირების სისტემების გამოცვლა ...............................................................................82
48. მე-200 აუდიტორიის სრული რეაბილიტაცია ......................................................................83
49. B კორპუსის ფასადების განახლება ....................................................................................84
50. საინფორმაციო რესურსი ....................................................................................................87
56. ბიბლიოთეკა .......................................................................................................................90
57. ბიბლიოთეკა .......................................................................................................................92
58. ბიუჯეტი ..............................................................................................................................94
დანართი 1 ..............................................................................................................................95
აკადემიური პერსონალის კვლევითი აქტივობები 01.08.2021 - 22.07.2022 პერიოდის განმავლობაში .........................................................................................................95
დანართ 2 ...............................................................................................................................118
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ........................................................................................................................118

# შესავალი

2018 წელს თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა. აღნიშნული გეგმა მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ასპექტს - აღწერს არსებულ მდგომარეობას და სამომავლო ხედვას.

სტრატეგიული გეგმის პარალელურად, 2018 წელს უნივერსიტეტმა ასევე შეიმუშავა სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ასპექტს და თითოეული მათგანის ფარგლებში დასახულ ამოცანებს მომდევნო სამი წლის განმავლობაში.

სამწლიანი სამოქმედო გეგმის განახლება ხორციელდება ყოველწლიურად და მას „მცოცავი" ხასიათი აქვს. ყოველ წელს ხდება იმ წლით განსაზღვრული ამოცანების შეფასება და სამოქმედო გეგმის განახლება. განახლებული სამოქმედო გეგმა მოიცავს მომდევნო სამ წელიწადს.

უნივერსიტეტის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებისთვის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ხედვა, შეფასების კრიტერიუმები, მონიტორინგის პერიოდულობა და თითოეული ელემენტისთვის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული.

თითოეული ელემენტის მონიტორინგის პერიოდულობა დამოკიდებულია ხედვისა თუ მიზნის კატეგორიაზე; ზოგ შემთხვევაში შეფასება ხდება ყოველ 6-თვეში ერთხელ (სემესტრულად), ხოლო ზოგ შემთხვევაში წელიწადში ერთხელ ან ამოცანით დასახულ, მოცემულ წელს.

სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ელემენტის შესრულება დადგენილ ვადაში არ მოხერხდა, კეთდება პრობლემის ანალიზი და დგინდება შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზები.

- იმ შემთხვევაში, თუ მიზეზი არასაკმარისი ქმედებებია, იგეგმება დამატებითი ქმედებები პრობლემის აღმოსაფხვრელად და ახლდება სამოქმედო გეგმა.
- თუ აღმოჩნდა, რომ მიზეზი შეცვლილი გარემოებები ან არასწორი დაგეგმარებაა, ხდება სტრატეგიული გეგმის გადახედვა და სამოქმედო გეგმის განახლება.

სამწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, მოიცავს როგორც უშუალოდ ამოცანების შესრულების შეფასებას (დანართი 2), ასევე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ასპექტის ანალიზს.

სამოქმედო გეგმის ანგარიში ასახავს ბოლო ერთი წლის განმავლობაში უნივერსიტეტის მიერ განხორციელებეულ ცვლილებების და პროგრესის ანალიზს მისი საქმიანობის ყველა მიმართულებით. იგი საშუალებას იძლევა გეგმით გათვალისწინებული თითოეული ამოცანა უნივერსიტეტის ჭრილში იყოს განხილული და სტრატეგიულად დაიგეგმოს ახალი სამოქმედო გეგმა.

# უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის COVID 19-თან დაკავშირებულ შეზღუდვებთან ადაპტაცია

ახალი კორონა ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, 2020 წლის გაზაფხულიდან 2021 წლის გაზაფხულამდე თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სწავლება დისტანციურ, ჰიბრიდულ ან ფიზიკური დასწრების რეჟიმში მიმდინარეობდა კონკრეტული პერიოდისთვის მთავრობის მიერ დამტკიცებული შეზღუდვების შესაბამისად. იმ შუალედური პერიოდებისათვის, როდესაც შესაძლებელი იყო ლექციების, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების, და გამოცდების კამპუსის ტერიტორიაზე ჩატარება, უნივერსიტეტი სასწავლო პროცესის აუდიტორული წესით განხორციელებისთვის ნებართვის მოსაპოვებლად შესაბამის ინსპექტირებას წარმატებით გადიოდა. რაც შეეხება საანგარიშო პერიოდს, 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრზე გავლენა ქონდა პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებს, რომლებიც თანდათანობით შესუსტდა და გაზაფხულის სემესტრი შესაბამისად ნორმალიზებულ გარემოში წარიმართა.

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის დროს უპირატესობა ელექტრონული სწავლების სინქრონულ მეთოდს მიენიჭა, რადგან ის უკეთ უზრუნველყოფს ჩართულობის სათანადო ხარისხს და სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას. დისტანციური სწავლებისათვის შეირჩა პლატფორმა - Zoom Video Communications - გამოყენების სიმარტივის, დიდი საინფორმაციო დატვირთვების სიმძლავრის, პედაგოგიკის პრინციპების და ტექნიკებისადმი შესატყვისობის გამო.

ელექტრონული სწავლების პროცესის შეუფერხებლად მართვის მიზნით უნივერსიტეტმა შეიძინა შესაბამისი ლიცენზიები და უზრუნველყო პლატფორმის გამოყენებისთვის საჭირო შესაბამისი IT ინფრასტრუქტურა. განხორციელდა IT ინფრასტრუქტურის განახლება და გამართვა. IT სისტემების უფრო გამართული მუშაობისთვის შესყიდულ იქნა ახალი საგამოცდო სერვერი და შემდგომ მონტაჟი განხორციელდა. ასევე მოხდა ინტერნეტის ქსელის აპარატურული განახლება. IT ინფრასტრუქტურის გაძლიერებაში დაახლოებით 600 000 ლარის ოდენობის ინვესტიცია განხორციელდა. სტუდენტებისთვის და უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის დამზადდა პლატფორმის გამოყენების წერილობითი და ვიდეო ინსტრუქციები.

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისას თავისუფალი უნივერსიტეტის 10 სტუდენტს, რომელთაც განსაკუთრებული სოციალური სტატუსი ქონდათ, დონორების დახმარებით გადაეცათ ლეპტოპები სახლიდან სასწავლო პროცესში სრულფასოვანი ჩართვისათვის.

კორონა ვირუსის გავრცელებასთან დაწესებული შეზღუდვების პერიოდში თავისუფალმა უნივერსიტეტმა ჯამში 8000-მდე სინქრონული ონლაინ სესია ჩაატარა.

სტუდენტებისათვის სრულფასოვანი პრაქტიკული განათლების მიწოდების მიზნით, მოხდა ლაბორატორიულ ოთახებში შესაბამისი წესების დამყარება და მეცადინეობების კამპუსის ტერიტორიაზე იმ პერიოდში ჩატარება, როდესაც ახალი კორონავირუსთან დაკავშირებული შეზღუდვები ამის საშუალებას იძლეოდა. ლაბორატორიული მეცადინეოზბების უსაფრთხო გარემოში ჩატარებისათვის შეიზღუდა ლაბორატორიაში ერთდროულად დასაშვებ სტუდენტთა რაოდენობა; ლაბორატორიული მეცადინეოზბის დროს აუცილებელი იყო პირბადის ტარება, თერმოსკრინინგის გავლა, სადეზინფექციო ხსნარით ხელების დამუშავება და 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა; თითოეული სტუდენტი სარგებლობდა ერთჯერადი ხალათით.

გამოცდების ჩატარებისათვის თავისუფალმა უნივერსიტეტმა გამოყო დამატებითი სივრცე, რათა მომხდარიყო 2 მეტრიან დისტანციაზე მაგიდების განლაგება და ჰიგიენური ნორმების და წესების სრულფასოვნად დაცვა. საგამოცდო სივრცეში ხორციელდებოდა თერმოსკრინინგი, დეზობარიერის გავლა და დაშვება მხოლოდ პირბადით იყო შესაძლებელი. გამოცდებს შორის ტარდებოდა სანიტარული სესიები, რომლის დროსაც დეზინფექცია უტარდებოდა ზედაპირებს და სრულად ნიავდებოდა სივრცე.

ყოველივე ზემოხსენებული აქტივობების გატარების შედეგად, თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი კორონა ვირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით დაწესებული შეზღუდვების პერიოდში სრულყოფილად იქნა ჩატარებული, როგორც თეორიული და პრაქტიკული ნაწილი, ისე გამოცდები.

ამ პერიოდის განმავლობაში, პროგრამების რეგულარული გადახედვის პარალელურად თავისუფალ უნივერსიტეტში 5-მა პროგრამამ გაიარა რეაკრედიტაცია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამების, მათი სილაბუსების და კურიკულუმების სიღრმისეულ შესწავლას და საჭიროებისამებრ მოდიფიკაციას. აკრედიტაციის პროცესი პროგრამებისთვის განსხვავებულად მიმდინარეობდა. ზოგ შემთხვევაში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი სრულად დისტანციურად იმართებოდა, ზოგ შემთხვევაში ჰიბრიდული ხასიათი ქონდა და ვიზიტის ნაწილი დაწესებული წესების დაცვით კამპუსის ტერიტორიაზე ხორციელდებოდა. ასევე იყო შემთხვევები, როდესაც ექსპერტთა ვიზიტი სრულად კამპუსის ტერიტორიაზე განხორციელდა ისევ ქვეყანაში დაწესებული წესების სრული დაცვით.

აღსანიშნავია ასევე, რომ პანდემიის პერიოდში უნივერსიტეტმა გააგრძელა არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მრავალი რეკონსტრუქციული პროექტი განახორციელა ამ კუთხით. აღნიშნულ პერიოდში უნივერსიტეტის მიერ

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე გაწეულმა ინვესტიციამ 3 მილიონ ლარს გადააჭარბა.

# ორგანიზაციული მოწყობა

## 1. ორგანიზაციული სტრუქტურა

თავისუფალი უნივერსიტეტის მიზანია, რაც შეიძლება „მოკლე" იერარქიული ჯაჭვი და „თხელი" (Lean) ორგანიზაციული სტრუქტურა ქონდეს, რათა, ერთი მხრივ, სტუდენტი და სწავლის პროცესი, მეორე მხრივ, გადაწყვეტილების მიმღები რგოლი, რაც შეიძლება ახლოს იყოს ერთმანეთთან.

უნივერსიტეტში გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება პროექტის მართვის პრინციპების საფუძველზე (Project Based Management). თითოეულ საკითხზე ხდება ამოცანების დასახვა და თითოეული ამოცანისათვის შესაბამისი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება.

**ხედვა 2022-2024:**

შენარჩუნებულ იქნეს სტრუქტურული მოწყობის დანერგილი პრინციპები

**შეფასების კრიტერიუმები:**

- „თხელი" (Lean) ორგანიზაციული სტრუქტურა
- ადმინისტრაციული ხარჯების თანაფარდობა მთლიან ბიუჯეტთან
- სასწავლო პროცესის მიზნობრივი მაჩვენებლები

**შეფასების მეთოდი:**

შეფასების პროცესი მოიცავდა თავისუფალი უნივერსიტეტის სტრუქტურული მოწყობის გადახედვას, ხარჯების ანალიზსა და სასწავლო პროცესის მიზნობრივი მაჩვენებლების შეფასებას.

ასევე ანალიზი ჩაუტარდა სტუდენტების და თანამშრომლების გამოკითხვის შედეგებს.

დანერგილი სტრუქტურის ეფექტურობის შეფასების მიზნით, მოხდა ხარჯების ანალიზი, კერძოდ ადმინისტრაციული ხარჯების მთლიან ბიუჯეტთან თანაფარდობა.

**დასკვნა:**

ანალიზმა აჩვენა, რომ თავისუფალი უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა შეესაბამება სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ ხედვას. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უნივერსიტეტმა შეინარჩუნა მოკლე იერარქიული ჯაჭვი, რომელიც უზრუნველყოფს მოქნილ მართვას და პრობლემებზე მყისიერ რეაგირებას. გამოკითხვების შედეგების ანალიზს არ გამოუვლენია რაიმე სახის პრობლემა განპირობებული სტრუქტურული მოწყობის

არსებული მოდელით. ადმინისტრაციული ხარჯები არ აღემატებოდა მთლიანი ბიუჯეტის 25%-ს.

არსებობს მოსაზრება, რომ „თხელი“ ორგანიზაციული სტრუქტურები კარგია გარკვეულ, სტანდარტულ ვითარებებში, მაგრამ არ გააჩნია სიმტკიცის მარაგი და ამიტომ ვერ უძლებს გაზრდილ დატვირთვებს და კრიზისებს. ამის საპირისპიროდ, როგორც გამოცდილებამ აჩვენა, უნივერსიტეტის მარტივი სტრუქტურა მდგრადი და მოქნილი აღმოჩნდა კოვიდ პანდემიით გამოწვეულ სირთულეებთან გამკლავებაში. უნივერსიტეტმა მოკლე პერიოდში მოახდინა სასწავლო პროცესის ონლაინ რეჟიმზე გადასვლისათვის მომზადება და შეზღუდვების პირობებში მაღალი ხარისხის განათლების ეფექტური მიწოდება, რაც ადასტურებს, რომ „თხელი" ორგანიზაციული სტრუქტურები კარგად ართმევენ თავს როგორც სტანდარტულ ვითარებებს, ასევე გაზრდილ დატვირთვებს და კრიზისების მართვას.

გასული წლების მანძილზე ეპიდემიოლოგიურ სიტუაციასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა შექმნა დისტანციური სერვისების განვითარების აუცილებლობა. ახალ გარემოებებზე მორგების და სტუდენტებთან ურთიერთობის ეფექტიანობის გაზრდის და პროცესების გამართვის მიზნით, მოხდა სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის და სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესების მართვის სამსახურების ორგანიზაციული სტრუქტურების ეფექტიანობის გაზრდა.

- კერძოდ, შეიქმნა ერთიანი ელექტრონული პლატფორმა, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა განცხადებების დისტანციურად მიღება სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისგან. ყოველივე ამან გაამარტივა კოორდინაცია სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, შესაბამისად მოხდა პროცესების დაჩქარება.
- მოხდა სასწავლო ცხრილების განახლება და გამართვა, რაც აადვილებს სტუდენტების სასწავლო პროცესში კოორდინაციას.
- ასევე შეიქმნა ელექტრონული პლატფორმა შიდა და გარე მობილობის პროცესების შეუფერხებელი მიმდინარეობისთვის. მობილობის შესახებ განაცხადების მიიღება შესაძლებელი გახდა დისტანციურად, რაც ხელს უწყობს პროცესების დაჩქარებას.

**ხედვა 2023-2025:**

თავისუფალ უნივერსიტეტში დანერგილი სტრუქტურული მოწყობა და გადაწყვეტილების მიღების მიდგომა წარმატებულია და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის გამართულ ფუნქციონირებას. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, უნივერსიტეტის „თხელი“ სტრუქტურა მდგრადი აღმოჩნდა კრიზისების მიმართ და ეფექტურად გაუმკლავდა ეპიდემიოლოგიურ ვითარებაში შექმნილ

სირთულეებს. შესაბამისად, უნივერსიტეტის ხედვაა სამომავლოდაც შენარჩუნდეს აღნიშნული მიდგომები.

## 2. მართვის მოდელი

თავისუფალი უნივერსიტეტის მიზანია, რაც შეიძლება „მოკლე" იერარქიული ჯაჭვი და „თხელი" (Lean) ორგანიზაციული სტრუქტურა ჰქონდეს, რათა, ერთი მხრივ, სტუდენტი და სწავლის პროცესი, მეორე მხრივ, გადაწყვეტილების მიმღები რგოლი რაც შეიძლება ახლოს იყოს ერთმანეთთან.

თავისუფალ უნივერსიტეტში გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება პროექტის მართვის პრინციპების საფუძველზე (Project Based Management). თითოეულ საკითხზე ხდება ამოცანების დასახვა და თითოეული ამოცანისათვის შესაბამისი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება.

სამუშაო ჯგუფი პასუხისმგებელია ამოცანების დადგენილ ვადაში შესრულებაზე. დასახული ამოცანების მიღწევის შემდეგ ხდება აღნიშნული ჯგუფის გაუქმება. ყოველ ახალ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი სამუშაო ჯგუფი იქმნება თავიდან.

**ხედვა 2022-2024:**

შენარჩუნებულ იქნეს მართვის არსებული პრინციპები

**შეფასების კრიტერიუმები:**

- გადაწყვეტილების მიღების მოკლე იერარქიული ჯაჭვი
- ადმინისტრაციული ხარჯების თანაფარდობა მთლიან ბიუჯეტთან

**შეფასების მეთოდი:**

ორგანიზაციული სტრუქტურის კუთხით განსაზღვრული გეგმის შეფასება განხორციელდა უნივერსიტეტში გადაწყვეტილების მიღების სისტემის ანალიზის საფუძველზე. მისი მოქნილობის შესაფასებლად მოძიებულ იქნა ინფორმაცია სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებებზე პრეტენზიების შესახებ.

ამასთან მოხდა უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლების გამოკითხვის შედეგების შეფასების ანალიზი.

დანერგილი მართვის მოდელის ეფექტურობის შეფასების მიზნით, ასევე მოხდა ხარჯების ანალიზი, კერძოდ ადმინისტრაციული ხარჯების მთლიან ბიუჯეტთან თანაფარდობა.

**დასკვნა:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თავისუფალმა უნივერსიტეტმა შეინარჩუნა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მართვის პრინციპები - გადაწყვეტილების მიღების მოკლე იერარქიული ჯაჭვი და ადმინისტრაციული ხარჯის მთლიან ბიუჯეტთან დადგენილი თანაფარდობა.

მართვის ეფექტიანობის გაზომვის მიზნით უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს ხარჯების ანალიზსს. სახელფასო ხარჯების განაწილება კარგად ასახავს იერარქიული შრეების სიმცირეს. უნივერსიტეტის მიზანია, ადმინისტრაციული სახელფასო ხარჯი მთლიანი ხარჯების 25%-ს არ აღემატებოდეს. აღნიშნული პირობა საანგარიშო პერიოდის მანძილზეც შენარჩუნებული იყო.

არსებობს მოსაზრება, რომ „თხელი“ ორგანიზაციული სტრუქტურები კარგია გარკვეულ, სტანდარტულ ვითარებებში, მაგრამ არ გააჩნია სიმტკიცის მარაგი და ამიტომ ვერ უძლებს გაზრდილ დატვირთვებს და კრიზისებს. ამის საპირისპიროდ, როგორც გამოცდილებამ აჩვენა, უნივერსიტეტის მარტივი სტრუქტურა მდგრადი და მოქნილი აღმოჩნდა კოვიდ პანდემიით გამოწვეულ სირთულეებთან გამკლავებაში. უნივერსიტეტმა მოკლე პერიოდში მოახდინა სასწავლო პროცესის ონლაინ რეჟიმზე გადასვლისათვის მომზადება და შეზღუდვების პირობებში მაღალი ხარისხის განათლების ეფექტური მიწოდება, რაც ადასტურებს, რომ „თხელი" ორგანიზაციული სტრუქტურები კარგად ართმევენ თავს როგორც სტანდარტულ ვითარებებს, ასევე გაზრდილ დატვირთვებს და კრიზისების მართვას.

გასული წლების მანძილზე ეპიდემიოლოგიურ სიტუაციასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა შექმნა დისტანციური სერვისების განვითარების აუცილებლობა. ახალ გარემოებებზე მორგების და სტუდენტებთან ურთიერთობის ეფექტიანობის გაზრდის და პროცესების გამართვის მიზნით, მოხდა სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის და სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესების მართვის სამსახურების ორგანიზაციული სტრუქტურების ეფექტიანობის გაზრდა.

- კერძოდ, შეიქმნა ერთიანი ელექტრონული პლატფორმა, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა განცხადებების დისტანციურად მიღება სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისგან. ყოველივე ამან გაამარტივა კოორდინაცია სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, შესაბამისად მოხდა პროცესების დაჩქარება.
- მოხდა სასწავლო ცხრილების განახლება და გამართვა, რაც აადვილებს სტუდენტების სასწავლო პროცესში კოორდინაციას.
- ასევე შეიქმნა ელექტრონული პლატფორმა შიდა და გარე მობილობის პროცესების შეუფერხებელი მიმდინარეობისთვის. მობილობის შესახებ განაცხადების მიიღება შესაძლებელი გახდა დისტანციურად, რაც ხელს უწყობს პროცესების დაჩქარებას.

**ხედვა 2023-2025:**

თავისუფალ უნივერსიტეტში დანერგილი სტრუქტურული მოწყობა და გადაწყვეტილების მიღების მიდგომა წარმატებულია და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის გამართულ ფუნქციონირებას. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, უნივერსიტეტის „თხელი“ სტრუქტურა მდგრადი აღმოჩნდა კრიზისების მიმართ და ეფექტურად გაუმკლავდა ეპიდემიოლოგიურ ვითარებაში შექმნილ სირთულეებს. შესაბამისად, უნივერსიტეტის ხედვაა სამომავლოდაც შენარჩუნდეს აღნიშნული მიდგომები.

## 3. ხარისხის უზრუნველყოფა

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ვინაიდან უნივერსიტეტის პოლიტიკა ხარისხის მიმართ გულისხმობს სწავლების, სწავლისა და კვლევის პროცესების მაქსიმალურად უზრუნველყოფას/განვითარებას, შესაბამისად, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები მონაწილეობენ ხარისხის კონტროლსა და განვითარებაში არა მხოლოდ ირიბად, არამედ პირდაპირ, რაც სწორედ წარმოადგენს ხარისხის ტოტალურ უზრუნველყოფას.

უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები ჩართულები არიან ხარისხის კონტროლსა და უზრუნველყოფაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა მჭიდრო თანაკვეთაშია პრორექტორების, დეკანების, სკოლის კოორდინატორების, სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის, ადამიანური რესურსების, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების საქმიანობებთან და გუნდური მუშაობის შედეგად ხდება, როგორც პრობლემების იდენტიფიცირება, შეთანხმება როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე ისე, მისი განხორციელების გზებზე და პროცესების დაგეგმვაზე. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა არის ინტეგრირებული ხასიათის და ეფუძნება ხარისხის განვითარების, სრულყოფის, პერსონალთან და სტუდენტებთან ღია თანამშრომლობის პრინციპებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრუქტურა ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ ხედვას, შეინარჩუნოს ,,თხელი სტრუქტურის" (Lean Structure) იდეა, რათა სტუდენტებსა და პროფესორებს შეექმნათ ნაკლები ბიუროკრატიული ბარიერი და დაცული იყოს მათი ღირებულებები და აკადემიური თავისუფლება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას ხელს უწყობენ სკოლის კოორდინატორები, რომლებიც ან თავად ატარებენ რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს, ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ეხმარებიან აღნიშნული კვლევების ჩატარებაში, იძიებენ და ამუშავებენ სათანადო ინფორმაციას.

**ხედვა 2022-2024:**

გამოკითხვების ჩატარება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

**შეფასების კრიტერიუმი:**

ფაქტობრივი მონაცემები

**შეფასების მეთოდი:**

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულების შეფასების მიზნით შეგროვებულ იქნა სტატისტიკური ინფორმაცია გამოკითხვებთან დაკავშირებით.

ასევე მოხდა პროგრამებში და საგნებში შეტანილი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მოძიება.

**დასკვნა:**

ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით გატარებული ღონისძიებები თანხვედრაშია სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებთან.

თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდის მანძილზე ჩატარდა 775 გამოკითხვა როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს შორის.

2021 წელს მოხდა არსებული კითხვარების გადახედვა და ანალიზი და მათი ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მიღებულ იქნა კითხვარების დახვეწის გადაწყვეტილება. დაინერგა ახალი კითხვარები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სემესტრული გამოკითხვებისას. კითხვარში არსებული კითხვების უნიფიცირების მიზნით გამოიყენება ლაიკერტის სკალა (Likert Scale), რაც ერთი მხრივ, ზრდის კითხვარების შევსებაში სტუდენტების აქტიურობის დონეს და მეორე მხრივ, ამარტივებს მონაცემების დამუშავების პროცესს. ახალი კითხვარები საშუალებას იძლევა, სასწავლო კურსი და მასში ჩართული ლექტორები შეფასებულ იქნეს სხვადასხვა ნიშნულების მიხედვით. ამასთან, ლაიკერტის სკალის დანერგვით გამარტივდა კითხვარებით მიღებული მონაცემების ვიზუალიზაცია. აღნიშნული საშუალებას იძლევა აიგოს რადიალური დიაგრამები, რითაც უფრო მკაფიოდ იკვეთება კონკრეტული სასწავლო კურსის ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც თავისთავად ხელს უწყობს კურსის შემდგომ დახვეწას. ახალი კითხვარების შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ სოციოლოგები და IT დეპარტამენტი. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ასევე დაგეგმილია მონაცემების დამუშავება და ანალიზის ავტომატიზაცია, რაც შეამცირებს შრომით და დროით დანახარჯებს. უნიფიცირებული შედეგები ასევე საშუალებას იძლევა, მოხდეს საერთო მდგომარეობის შეფასება უნივერსიტეტის მასშტაბით და შემდგომ მისი დროში შედარება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა კიდევ უფრო დაიხვეწა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ინტეგრირების მიზნით რაც გამოიხატება:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კორესპონდენციის

გაუმჯობესებაში, არსებობს აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის მიმოწერის რეესტრი. მიმოწერის რეესტრში ტარდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსული თუ გასული კორესპონდენცია. მიმოწერის რეესტრთან ერთად ასევე შეიქმნა წერილების ელექტრონულად შენახვის სისტემა, რაც საშუალებას იძლევა მარტივად და სწრაფად იქნას მოძიებული ხარისხის სამსახურის კორესპონდენცია.

- ასევე, კიდევ უფრო მოწესრიგდა და ფორმალიზდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის და საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის რეესტრი. განახლებულ რეესტრში თითოეულ პროგრამაზე მითითებულია შემდეგი ინფორმაცია: პროგრამის დასახელება, კვალიფიკაციის კოდი, შიდა კოდი, აკრედიტაციის ფარგლებში ბოლო შემოწმების თარიღი, აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი, პროგრამის ხელმძღვანელი, კოორდინატორი. ავტორიზაციის შემთხვევაში კი - ავტორიზაციის ფარგლებში ბოლო შემოწმების თარიღი, ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი, სტუდენტების ზღვრული რაოდენობა. რეესტრში ასევე, მითითებულია აკრედიტაციის/ავტორიზაციის შესაბამისი გადაწყვეტილების ბმული.
- გარდა ამისა, საქმის წარმოების გამარტივების თვალსაზრისით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამებს ანიჭებს შიდა კოდებს.
- უფრო ფორმალიზდა ყოველსემესტრული გამოკითხვების შედეგების ანალიზის დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში გაერთიანებულია ყველა სასწავლო კურსის შესახებ ინფორმაცია (პროგრამა, საგნის სახელი, საგნის კოდი, პროფესორის სახელი). დოკუმენტი ასევე აერთიანებს ინფორმაციას თუ რომელ კურსს, რომელი სტუდენტი გადის (ი-მეილის მითითებით). აღნიშნული დოკუმენტი პლატფორმა Survey Monkey-ს მეშვეობით ყოველსემესტრული კითხვარების დაგზავნის პროცედურას კიდევ უფრო ამარტივებს.

**ხედვა 2023-2025:**

თავისუფალი უნივერსიტეტის ხედვაა გამოკითხვების პროცესის ავტომატიზაცია და გამოკითხვებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა. უნივერსიტეტი ასევე გააგრძელებს კითხვარების ფორმატის დახვეწას და ეცდება სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის მეტად მოცვას.

## 4. ეთიკის პრინციპები

თავისუფალ უნივერსიტეტში ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპები მაღალ დონეზეა დაცული. სტუდენტების დეკანი პრეზენტაციის საშუალებით პირველკურსელებს აცნობს უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსს, დეტალურად ხსნის, თუ რომელი ქმედებები იკრძალება უნივერსიტეტში და რომელი ღონისძიებებით ხორციელდება ამ წესების დაცვა.

- სწავლის დაწყებისას უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც სხვა უფლება-მოვალეობებთან ერთად, გაწერილია, რომ სტუდენტის ეთიკის კოდექსი წარმოადგენს ხელშეკრულების დანართს და სტუდენტი ვალდებულია, გაეცნოს ყველა წესს, დაიცვას ეთიკის ნორმები და იმოქმედოს ამ წესების შესაბამისად. სტუდენტებს ხელმოწერისას მიეთითებათ ამ გარემოებების შესახებ.
- სტუდენტის ეთიკის კოდექსი განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.freeuni.edu.ge.

**ხედვა 2022-2024:**

უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის დაცვის ეფექტიანობის უზრუნველყოფა

**შეფასების კრიტერიუმები:**

დარღვევების სტატისტიკა; დარღვევების ტიპები და სიმძიმე

**შეფასების მეთოდი:**

ეთიკის პრინციპების დაცვის შეფასების მიზნით, მოხდა დარღვევების შესახებ ინფორმაციის მოძიება. ასევე მოხდა ეთიკის კოდექსის გადახედვა.

**დასკვნა:**

ეთიკის პრინციპების დაცვის კუთხით საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თავისუფალმა უნივერსიტეტმა უზრუნველყო პრევენციული ზომების ეფექტურად გატარება და შემთხვევებზე მყისიერი რეაგირება სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში დისციპლინური წარმოება დაიწყო სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსის 5.1.1. (აკადემიური თაღლითობა) დარღვევის 13 შემთხვევაზე. ამ შემთხვევებიდან ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილებით აკადემიური თაღლითობა დადასტურდა 13-ვე შემთხვევაზე და 13 სტუდენტს განესაზღვრა წერილობითი გაფრთხილება და ჩაიჭრა საგანში (Fail).

საანგარიშო პერიოდში დისციპლინური წარმოება დაიწყო სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსის 5.1.2. (პლაგიატი) დარღვევის 43 შემთხვევაზე. ამ შემთხვევებიდან ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილებით პლაგიატი დადასტურდა 43-

ივე შემთხვევაზე. აქედან 40 სტუდენტს განესაზღვრა წერილობითი გაფრთხილება და ჩაიჭრა საგანში (Fail), ხოლო პლაგიატის განმეორებით (მათ შორის სიმძიმიდან გამომდინარე) ჩადენის გამო 3 სტუდენტს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი.

სტუდენტის ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის 5.1.4 ქვეპუნქტის, სხვა სტუდენტისთვის აკადემიური თაღლითობის ჩადენაში ხელის შეწყობა, დარღვევის გამო 3 სტუდენტს განესაზღვრა წერილობითი გაფრთხილება.

სტუდენტის ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებული წესების (ეთიკის საერთო წესები) დარღვევა გამოვლინდა 20 სტუდენტზე, აქედან (დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით) 4 სტუდენტს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი.

ქვემოთ მოყვანილია ეთიკის კოდექსის დარღვევების სტატისტიკა ბოლო ოთხი სასწავლო წლის განმავლობაში.

| დადასტურებული ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევები | 2018-2019 | 2019-2020 | 2020-2021 *(ივლისის მდგომარეობით)* | 2021-2022 *(ივლისის მდგომარეობით)* |
|---|---|---|---|---|
| აკადემიური თაღლითობა | 42 | 5 | 19 | 13 |
| *სტუდენტის სტატუსი შეუწყდა* | *1* | *0* | *1* | *0* |
| პლაგიატი | 19 | 44 | 24 | 43 |
| *სტუდენტის სტატუსი შეუწყდა* | *0* | *2* | *3* | *3* |
| ეთიკის სხვა პრინციპების დარღვევა (რომელიც არ არის დაკავშირებული აკადემიურ პროცესთან) | 7 | 1 | 6 | 20 |
| *სტუდენტის სტატუსი შეუწყდა* | *0* | *1* | *2* | *4* |

**ხედვა 2023-2025:**

თავისუფალი უნივერსიტეტის ხედვაა გაგრძელდეს ეთიკის კოდექსის დაცვის ეფექტიანობის უზრუნველყოფა. აკადემიური თაღლითობის აღმოფხვრისა და შემთხვევებზე მყისიერი რეაგირების მიზნით უნივერსიტეტი გააგრძელებს დანერგილი პრევენციული ზომების და სხვა მექანიზმების გატარებას.

## 5. პლაგიატთან ბრძოლა და პრევენცია

თავისუფალი უნივერსიტეტი შესაბამის ზომებს ატარებს პლაგიატისა და აკადემიური თაღლითობის პრევენციის კუთხით. პლაგიატთან და აკადემიურ თაღლითობასთან ბრძოლა არის ინსტიტუციონალიზირებული.

პლაგიატის შესახებ ინფორმაცია, მისი აღმოჩენის შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები და მექანიზმები გაწერილია უნივერსიტეტის სტუდენტის ეთიკის კოდექსსა და ეთიკის საბჭოს რეგლამენტში.

სტუდენტის ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს, თუ რა არის პლაგიატი და რა სახის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს სტუდენტს პლაგიატის შემთხვევაში. ეთიკის საბჭოს რეგლამენტი კი განსაზღვრავს იმ პროცედურებს, რომლებიც პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში განხორციელდება.

თავისუფალი უნივერსიტეტის პოლიტიკაა, გამოცდების უმეტესობა წერითი სახის იყოს და ყველა წერითი გამოცდა საგამოცდო ცენტრში ჩატარდეს შიდა out-sourcing-ის პრინციპით, სისტემური მონიტორინგის ქვეშ. აღნიშნულ ცენტრში გამოცდას ხელმძღვანელობენ ცენტრის თანამშრომლები, რომლებსაც შესაბამისი ტრენინგი აქვთ ჩატარებული პლაგიატისა და აკადემიური თაღლითობის პრევენციის ზომების შესახებ.

საგამოცდო ცენტრი 305 სტუდენტზეა გათვლილი. საგამოცდო ცენტრში სისტემურად შემცირებულია გადაწერისა და წყაროებით სარგებლობის რისკი, შეზღუდულია ინტერნეტზე წვდომა, თუ ეს არ არის ცენტრის მიერ დაშვებული. საგამოცდო ცენტრში ასევე დახშულია მობილური კავშირი. ყოველივე ეს მინიმუმამდე ამცირებს პლაგიატისა და აკადემიური თაღლითობის რისკს.

პლაგიატისა და აკადემიური თაღლითობის რისკს ასევე ამცირებს ის გარემოება, რომ თავისუფალ უნივერსიტეტში საგამოცდო საკითხები წლიდან წლამდე იცვლება და გამოცდებზე საკითხების რამდენიმე ვარიანტია წარმოდგენილი.

**ხედვა 2022-2024:**

პლაგიატთან ბრძოლის ეფექტიანობის უზრუნველყოფა

შესწავლილ იქნეს პლაგიატთან ბრძოლის თანამედროვე პროგრამები და მისი ეფექტურობის შემთხვევაში, დაინერგოს უნივერსიტეტში

**შეფასების კრიტერიუმი:**

პლაგიატის აღმოჩენის სტატისტიკა; დარღვევების ტიპები და სიმძიმე

**შეფასების მეთოდი:**

პლაგიატთან ბრძოლის კუთხით მდგომარეობის შეფასების მიზნით მოხდა დარღვევების შესახებ ინფორმაციის მოძიება. ასევე გაიმართა შეხვედრები და მსჯელობა პლაგიატთან ბრძოლასთან დაკავშირებულ სამუშაო ჯგუფთან.

**დასკვნა:**

პლაგიატთან ბრძოლის კუთხით საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თავისუფალმა უნივერსიტეტმა უზრუნველყო პრევენციული ზომების ეფექტურად გატარება და შემთხვევებზე მყისიერი რეაგირება სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში დისციპლინური წარმოება დაიწყო სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსის 5.1.1. (აკადემიური თაღლითობა) დარღვევის 13 შემთხვევაზე. ამ შემთხვევებიდან ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილებით აკადემიური თაღლითობა დადასტურდა 13-ვე შემთხვევაზე და 13 სტუდენტს განესაზღვრა წერილობითი გაფრთხილება და ჩაიჭრა საგანში (Fail).

საანგარიშო პერიოდში დისციპლინური წარმოება დაიწყო სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსის 5.1.2. (პლაგიატი) დარღვევის 43 შემთხვევაზე. ამ შემთხვევებიდან ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილებით პლაგიატი დადასტურდა 43-ივე შემთხვევაზე. აქედან 40 სტუდენტს განესაზღვრა წერილობითი გაფრთხილება და ჩაიჭრა საგანში (Fail), ხოლო პლაგიატის განმეორებით (მათ შორის სიმძიმიდან გამომდინარე) ჩადენის გამო 3 სტუდენტს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი.

სტუდენტის ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის 5.1.4 ქვეპუნქტის, სხვა სტუდენტისთვის აკადემიური თაღლითობის ჩადენაში ხელის შეწყობა, დარღვევის გამო 3 სტუდენტს განესაზღვრა წერილობითი გაფრთხილება.

სტუდენტის ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებული წესების (ეთიკის საერთო წესები) დარღვევა გამოვლინდა 20 სტუდენტზე, აქედან (დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით) 4 სტუდენტს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი.

ქვემოთ მოყვანილია ეთიკის კოდექსის დარღვევების სტატისტიკა ბოლო ოთხი სასწავლო წლის განმავლობაში.

| დადასტურებული ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევები | **2018-2019** | **2019-2020** | **2020-2021** *(ივლისის მდგომარეობით)* | **2021-2022** *(ივლისის მდგომარეობით)* |
|---|---|---|---|---|
| აკადემიური თაღლითობა | 42 | 5 | 19 | 13 |
| *სტუდენტის სტატუსი შეუწყდა* | *1* | *0* | *1* | *0* |
| პლაგიატი | 19 | 44 | 24 | 43 |
| *სტუდენტის სტატუსი შეუწყდა* | *0* | *2* | *3* | *3* |
| ეთიკის სხვა პრინციპების დარღვევა (რომელიც არ არის დაკავშირებული აკადემიურ პროცესთან) | 7 | 1 | 6 | 20 |
| *სტუდენტის სტატუსი შეუწყდა* | *0* | *1* | *2* | *4* |

პლაგიატთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა მოახდინა შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი, რის საფუძველზე გამოიკვეთა რომ: არსებული პლაგიატის აღმოჩენის სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფა ვერ ახდენს პლაგიატის ეფექტურ აღმოჩენას, ვინაიდან ამ ეტაპზე ქართულ ენაზე არსებული ბაზა არასათანადოა; გამოცდილებამ აჩვენა, რომ აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შედეგად ხდება ლექტორების მხრიდან ყურადღების მოდუნება და შესაბამისად, პლაგიატის აღმოჩენა სრულად პროგრამაზეა მინდობილი, რომელმაც შესაძლოა მცდარი შეფასება გააკეთოს. შესაბამისად, უნივერსიტეტი აღარ გეგმავს პლაგიატის აღმოჩენის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვას.

როგორც პრაქტიკამ აჩვენა პლაგიატის თავიდან აცილების ყველაზე ეფექტური გზა გამოცდების უმეტესი ნაწილის წერითი სახით ჩატარებაა მკაცრი დაკვირვების ქვეშ. სწორედ ამ მიზნით თავისუფალმა უნივერსიტეტმა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოახდინა საგამოცდო ცენტრის განახლება - განკუთვნილი ფართი გაორმაგდა, დამონტაჟდა მაღალი გარჩევადობის ვიდეო კამერები და გაძლიერდა მონიტორინგი გამოცდების მსვლელობისას.

შედეგად, ახალი საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს აკადემიური თაღლითობის და პლაგიატის მინიმუმამდე დაყვანას რადგან:

- სტუდენტებს შორის დაშორება 1.8 მეტრს შეადგენს. ძველი საგამოცდო სივრცე, რომელიც ბევრად მცირე ზომის იყო (400 კვ.მ) 200 სტუდენტი თავსდებოდა, მაშინ როცა ახალი საგამოცდო სივრცე ორჯერ დიდია (900 კვ.მ) და იგი მხოლოდ 305 სტუდენტზეა გათვლილი.
- საგამოცდო ცენტრი აღიჭურვა მაღალი გარჩევადობის ვიდეო დაკვირვების კამერებით, რომლებიც სრულად უზრუნველყოფს ყველა საგამოცდო ადგილის მონიტორინგს. ხორციელდება ვიდეოჩაწერა და ერთი თვით ჩანაწერის შენახვა. ჯამში 70 კამერაა დამონტაჟებული.
- გამოცდების მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება საგამოცდო ცენტრის თანამშრომლების მიერ. სტუდენტის ნებისმიერ არასათანადო ქმედებაზე საგამოცდო ცენტრის თანამშრომელი ახდენს შესაბამის რეაგირებას და ხსნის გამოცდიდან.

**ხედვა 2023-2025:**

თავისუფალი უნივერსიტეტის ხედვაა უზრუნველყოს პლაგიატთან ბრძოლის ეფექტიანობა, რათა მოხდეს პლაგიატის შემთხვევების პრევენცია და ასევე მისი დროული აღმოჩენა და მყისიერი რეაგირება.

# სწავლების კონცეფცია, საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტები

## 6. საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება

თავისუფალი უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტი, სპეციალობის საგნების პარალელურად, ზოგად საუნივერსიტეტო საგნებსაც გადის, რაც ხელს უწყობს ზოგადი განათლების დონის ამაღლებას და ინტერესთა სფეროს გაფართოებას. მნიშვნელოვანია, რომ თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებს შეუძლიათ დამატებითი გადასახადის გარეშე დაეუფლონ მეორად სპეციალობას.

**ხედვა 2022-2024:**

შეადგენს პროგრამების კურიკულუმების კრედიტების 20%-ს

**შეფასების კრიტერიუმი**

ფაქტობრივი მონაცემები

**შეფასების მეთოდი:**

შეფასების მიზნით განხორციელდა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვა, ფაქტობრივი მონაცემების შეგროვება და ანალიზი.

**დასკვნა:**

შეგროვებული ინფორმაციის შეფასებამ აჩვენა, რომ საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების კრედიტები კურიკულუმებით გათვალისწინებული კრედიტების 22%-ს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა საგნების გადახედვა და მათი რეკლასიფიცირება, რის შედეგადა საგანი საველე პრაქტიკა ზოგად საგნებს მიეკუთვნა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა ზოგადი საუნივერსიტეტო საგნების გადახედვა და მოდიფიცირება.

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა საგან თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიებს შეეცვალა სახელწოდება და გახდა პოლიტიკური იდეოლოგიები.
- როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, საგანი საველე პრაქტიკა რეკლასიფიცირდა და ზოგად საუნივერსიტეტო საგნებს მიეკუთვნა.

**ხედვა 2023-2025:**

თავისუფალი უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია, სტუდენტებმა სპეციალობის საგნების პარალელურად ზოგადი საგნებიც ისწავლონ, რათა უკეთ მოხდეს მათი ინტერესთა სფეროს ჩამოყალიბება. უნივერსიტეტის ხედვაა, ზოგადი საუნივერსიტეტო განათლების საგნებმა მომდევნო წლებშიც პროგრამების კურიკულუმების კრედიტების 22% შეადგინოს.

## 7. არჩევითი საგნები

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამები ისეა შედგენილი, რომ სტუდენტებს თავისუფალი არჩევანის საშუალება აქვთ საკუთარი ინტერესების მიხედვით შეარჩიონ საგნები. ამასთან, სტუდენტებს შეუძლიათ, პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების გარდა დამატებით 15 კრედიტის საგნები ისწავლონ დამატებითი გადასახადის გარეშე.

**ხედვა 2022-2024:**

შეადგენს პროგრამების კურიკულუმების კრედიტების 6%-ს

**შეფასების კრიტერიუმი:**

ფაქტობრივი მონაცემები

**შეფასების მეთოდი:**

შეფასების მიზნით განხორციელდა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და ფაქტობრივი მონაცემების შეგროვება და ანალიზი. შეგროვებულ იქნა მონაცემები თითოეულ სემესტრში შეთავაზებული არჩევითი საგნებისა და გაკეთებული არჩევანის რაოდენობის შესახებ.

**დასკვნა:**

შეგროვებული ინფორმაციის ანალიზით დადასტურდა, რომ არჩევითი საგნების კრედიტები კურიკულუმებით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ რაოდენობას და 6%-ს შეადგენს.

თავისუფალ უნივერსიტეტში სტუდენტებს საშუალება აქვთ გაიარონ ნებისმიერი საგანი როგორც არჩევითი საგანი, რომელიც კონკრეტული სემესტრის განმავლობაში ისწავლება.

2021 წლის შემოდგომის სემესტრის განმავლობაში საგნების საერთო რაოდენობა 240-ს შეადგენდა, საიდანაც ბაკალავრიატის საფეხურზე არსებული სტუდენტების მიერ არჩევითად 202 საგანი იქნა არჩეული.

2022 წლის გაზაფხული სემესტრის განმავლობაში საგნების საერთო რაოდენობა 265-ს შეადგენდა, საიდანაც ბაკალავრიატის საფეხურზე არსებული სტუდენტების მიერ არჩევითად 208 საგანი იქნა არჩეული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა რაოდენობაში შედის ის სტუდენტები, რომელთათვის კონკრეტული საგნის გავლა სავალდებულო იყო (სავალდებულო არჩევითი).

თავისუფალ უნივერსიტეტში სტუდენტებს ასევე საშუალება აქვთ, მეორად სპეციალობას დაეუფლონ. სტუდენტების მხრიდან მაინორ სპეციალობის არჩევანი მრავალფეროვანია და სტუდენტთა მონაწილეობა აქტიური. მათ შეუძლიათ, ქვემოთ მოყვანილი მიმართულებიდან რომელიმეს არჩევა:

- არაბული ენა
- ბიზნესი და ფინანსები
- გერმანული ენა
- ესპანური ენა
- იაპონური ენა
- კერძო და ბიზნეს სამართალი
- კორეული ენა
- მარკეტინგი
- პროგრამირება
- საერთაშორისო ურთიერთობები
- საჯარო და საერთაშორისო სამართალი
- ფრანგული ენა
- ჩინური ენა
- ხატვა
- ფერწერა
- მართვა და საჯარო პოლიტიკა

2021-2022 სასწავლო წელს 2650 აქტიურ ბაკალავრიატის სტუდენტიდან 321 სტუდენტს ქონდა მაინორი აღებული (სტუდენტთა 12%-ზე მეტს). ქვემოთ მოყვანილია თითოეული სკოლის სტუდენტების მიერ მაინორების არჩევის სტატისტიკური ინფორმაცია:

- კომპიუტერული მეცნიერებების, მათემატიკისა და ინჟინერიის სკოლა MACS[E]
    - კომპიუტერული მეცნიერებების პროგრამა – 15 სტუდენტი (4.5%)
    - კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამა - 14 სტუდენტი (7.9%)
    - შენობის სისტემების ინჟინერია - 0 სტუდენტი
- ბიზნეს სკოლა ESM - 105 სტუდენტი (12.5%)
- ფიზიკის სკოლა - 12 სტუდენტი (15%)
- საერთაშორისო ურთიერთობების სკოლა - 51 სტუდენტი (18%)
- მართვის და საზოგადოებრივი მეცნიერებების სკოლა - 81 სტუდენტი (23.5%)
- ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლა VA[A]DS
    - ვიზუალური ხელოვნებისა და დიზაინის საბაკალავრო პროგრამა - 1 სტუდენტი (0.7%)
    - არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა - 6 სტუდენტი (6%)

**ხედვა 2023-2025:**

არჩევითი საგნები სტუდენტებს საშუალებას აძლევს, უკეთ შეიცნონ მათთვის საინტერესო სფეროები და განსაზღვრონ მომავალი საქმიანობის მიმართულება. ამისათვის უნივერსიტეტის მიზანია, არჩევითმა საგნებმა მომავალშიც პროგრამების კურიკულუმების კრედიტების მინიმუმ 6% შეადგინოს.

უნივერსიტეტი გააგრძელებს სტუდენტებისთვის მაინორ პროგრამების მიწოდებას, რათა მათ საკუთარი ინტერესის სფეროების კიდევ უფრო გაღრმავების საშუალება ქონდეთ.

## 8. ინგლისური ენა

თავისუფალ უნივერსიტეტში პირველივე კურსიდან ისწავლება ინგლისური ენა და ყველა სტუდენტი ინგლისური ენის ცოდნის მინიმუმ B2 დონეს აღწევს. შესაბამისად, სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ უცხოური ლიტერატურა და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში. ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა ასევე ხელს უწყობს მათ შემდგომ კარიერულ წინსვლას.

**ხედვა 2022-2024:**

კურსდამთავრებულთა 100% ფლობს მინიმუმ B2 დონეს

**შეფასების კრიტერიუმი:**

ფაქტობრივი მონაცემები

**შეფასების მეთოდი:**

თავისუფალ უნივერსიტეტში სწავლის დაწყებისთანავე ყველა სტუდენტი წერს ინგლისური ენის ტესტს (Placement Test), რომლის მიხედვითაც განისაზღვრება მათი ენის ფლობის დონე. ის სტუდენტები, რომლებიც ინგლისურს ვერ ფლობენ B2 დონეზე გადიან შესაბამის კურსს, რომლის დასრულებისას ისევ წერენ ტესტს. კურსი დასრულებულად ითვლება, თუ აღნიშნული ტესტით დადასტურდა, რომ სტუდენტი ინგლისურ ენას მინიმუმ B2 დონეზე ფლობს. აღნიშნული მიდგომით უნივერსიტეტის ყველა კურსდამთავრებული ინგლისურ ენაზე მინიმუმ B2 დონეზე ფლობს.

**დასკვნა:**

2021-2022 სასწავლო წელს თავისუფალი უნივერსიტეტის დამამთავრებელ კურსზე იმყოფებოდა 457 სტუდენტი, რომელთა 100% ფლობდა ინგლისურ ენას B2 დონეზე.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ  წლიდან წლამდე უმჯობესდება მიღებულ სტუდენტთა ინგლისური ენის ცოდნის დონე.

2021-2022 წელს ჩატარებული Placement Test-ის მიხედვით C1 დონეზე სწავლას 53% საჭიროებდა, 35.9% კი B2 დონეზე. რაც შეეხება B1 და A2 დონეებს - 10.8% და 0.3% შესაბამისად.

ქვემოთ მოყვანილია ინგლისური ენის ცოდნის დონეების მიხედვით სტუდენტების განაწილების სტატისტიკა 2015-2016 წლიდან დღემდე.




**ხედვა 2023-2025:**

თავისუფალი უნივერსიტეტი გააგრძელებს ინგლისური ენის სწავლებას სტუდენტებისათვის. უნივერსიტეტის ხედვაა, ბაკალავრიატის საფეხურის კურსდამთავრებულთა 100% ფლობდეს ინგლისურ ენას მინიმუმ B2 დონეზე.

## 9. პრაქტიკული სწავლება

თავისუფალი უნივერსიტეტის მიზანია სტუდენტებს საფუძვლიან თეორიულ ცოდნასთან ერთად ძლიერი პრაქტიკული განათლება გადასცეს. ამ მიზნით სასწავლო პროგრამები ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს.

საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

- **პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების შემცველი საგნები** - თავისუფალი უნივერსიტეტის ყველა პროგრამა მოიცავს პრაქტიკული მეცადინეობების შემცველ საგნებს. სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების, სოციალური მეცნიერებების მიმართულების პროგრამების შემთხვევაში ასეთი საგნების წილი შეადგენს პროგრამის მინიმუმ 30%-ს; საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით - დაახლოებით 40%-ს; ფიზიკის, ინჟინერიისა და კომპიუტერული მეცნიერების შემთხვევაში - დაახლოებით 50%-ს, ისევე როგორც ვიზუალური ხელოვნებისა და დიზაინის და არქიტექტურის პროგრამების შემთხვევაში.
- **პროექტები** - თავისუფალი უნივერსიტეტის პროგრამების უმეტესობა მოიცავს პროექტის სახის საგნებს, რომლებიც კურიკულუმში შესაძლოა წარმოდგენილი იყოს, როგორც: ჯუნიორ პროექტი, სინიორ პროექტი, საკურსო პროექტი, სადიპლომო ნაშრომი.
- **მუშაობა ორგანიზაციაში -** საგანი, რომელიც მიმართულია სტუდენტებში პროფესიული უნარების განვითარებისკენ. აღნიშნული საგნის ფარგლებში სტუდენტები გადიან სამთვიან სტაჟირებას ან საქმდებიან ნახევარი განაკვეთით შესაბამის ორგანიზაციებში.
- **საველე პრაქტიკა** - თავისუფალ უნივერსიტეტში ყველა პირველკურსელი მონაწილეობას იღებს საველე პრაქტიკაში, რომელიც სავალდებულოა და რომლის გავლის შემდეგ სტუდენტებს ენიჭებათ კრედიტები. საველე პრაქტიკის დროს სტუდენტები საქართველოს რომელიმე კუთხეში (ძირითადად დაცულ ტერიტორიებზე) ბანაკდებიან და 10 დღეს საველე პირობებში ატარებენ. ამ დროს სტუდენტები გამოიმუშავებენ ისეთ უნარებს, როგორიცაა გუნდური მუშაობა და რთულ პირობებში სხვადასხვა დავალებისთვის თავის გართმევა. სტუდენტები ასუფთავებენ მიმდებარე ტერიტორიას და ეხმარებიან ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა სამუშაოს შესრულებაში.
- **სწავლების პრაქტიკა -** არჩევითი საგანი, რომელიც გულისხმობს ლექტორის ასისტირებას. ამ დროს სტუდენტი ითვისებს სწავლების მეთოდოლოგიასა და უნარ-ჩვევებს.

**ხედვა 2022-2024:**

პროგრამების კურიკულუმებში პრაქტიკული სწავლების არსებული დონის შენარჩუნება, როგორც კურიკულუმის, ისე საგნების დონეზე

**შეფასების კრიტერიუმი:**

თვისებრივი და რაოდენობრივი შეფასება

**შეფასების მეთოდი:**

პრაქტიკული სწავლების წილის შეფასების მიზნით, მოხდა პროგრამების გადახედვა და ინფორმაციის მოძიება პრაქტიკულ საგნებთან დაკავშირებით.

**დასკვნა:**

ანალიზის საფუძველზე დადასტურდა, რომ პრაქტიკული საგნები თითოეულ პროგრამაში იგივე დატვირთვით ისწავლება, როგორც სამოქმედო გეგმით იყო გათვალისწინებული.

პანდემიის პერიოდში (2020-2021 წლები) არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო საველე პრაქტიკა სტუდენტებისთვის ნებაყოფლობითი იყო. მათ ქონდათ არჩევანი საველე პრაქტიკაზე წასვლა გადაევადებინათ.

2021 წლის ზაფხულისათვის 800-მდე თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტი იყო საველე პრაქტიკაზე წასასვლელად დარეგისტრირებული. ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაუარესების გამო დარეგისტრირებულ სტუდენტებიდან მხოლოდ 300 მათგანი გაემგზავრა საველე პრაქტიკაზე.

2022 წლის საველე პრაქტიკისთვის შერჩეულ იქნა 12 ლოკაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ამჟამად საველე პრაქტიკაზე 600 პირველკურსელი მიემგზავრება, ხოლო 400 - მაღალი კურსის სტუდენტი.მიმდინარე წელს პირველი და მეორე ნაკადი უკვე გაემგზავრა საველე პრაქტიკაში, ჯამში დაახლოებით 750 სტუდენტი.

წელს თავისუფალმა უნივერსიტეტმა საველე პრაქტიკის ალტერნატიული კურსი შემოიღო. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ საველე პრაქტიკის ნაცვლად საბაზისო სალაშქრო და სამხედრო მომზადების კურსი გაიარონ. ეს კურსი ტარდება საქართველოს შეირაღებულ ძალების რეზერვის პალდოს საწვრთნელ ბაზაზე, რომელსაც საზოგადოებრივი ორგანიზაცია „აისი“ ატარებს. აღნიშნული კურსის საფასურს სრულად უნივერსიტეტი ფარავს და შესაბამისად სტუდენტებისთვის უფასოა. ამჟამად დაახლოებით 25 თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტია აღნიშნულ პროგრამაზე დარეგისტრირებული.

**ხედვა 2023-2025:**

თავისუფალი უნივერსიტეტის ხედვაა პროგრამების კურიკულუმებში პრაქტიკული სწავლების არსებული დონის შენარჩუნება, როგორც კურიკულუმის ისე საგნების ფარგლებში.

## 10. პრაქტიკული სწავლება

თავისუფალი უნივერსიტეტის მიზანია სტუდენტებს საფუძვლიან თეორიულ ცოდნასთან ერთად ხარისხიანი პრაქტიკული განათლება გადასცეს. ამ მიზნით უნივერსიტეტი აქტიურად იწვევს პრაქტიკოს ლექტორებს, რათა სტუდენტებს თანამედროვე ცოდნა და უნარები გადაეცეთ.

**ხედვა 2022-2024:**

შენარჩუნდეს მოწვეული პრაქტიკოსი ლექტორების ჩართულობა

**შეფასების კრიტერიუმი:**

ფაქტობრივი მონაცემი

**შეფასების მეთოდი:**

პრაქტიკოსი ლექტორების ჩართულობის შეფასების მიზნით განხორციელდა ლექტორების შესახებ ინფორმაციის მოძიება და ანალიზი

**დასკვნა:**

საანგარიშო პერიოდში ოდნავ გაზრდილია პრაქტიკოსი ლექტორების სასწავლო პროცესში ჩართულობა, რაც შესაბამისად ამაღლებს სწავლების ხარისხს. 2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში ჯამში 147 პრაქტიკოსი ლექტორია ჩართული, რაც დაახლოებით სასწავლო პროცესში ჩართული ლექტორების 42%-ს შეადგენს.

**ხედვა 2023-2025:**

პრაქტიკოსი ლექტორების მონაწილეობა სწავლების პროცესში მნიშვნელოვნად ამაღლებს განათლების ხარისხს, რადგან სტუდენტები თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ უნარებს იძენენ. უნივერსიტეტის ხედვაა, შეინარჩუნოს პრაქტიკოსი ლექტორების მაღალი ჩართულობა სასწავლო პროცესში.

## 11. შენობის სისტემების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა

თავისუფალი უნივერსიტეტი მუდმივად ახორციელებს შრომის ბაზრის მონიტორინგს და დროულად პასუხობს მის მოთხოვნებსა და გამოწვევებს. საგანმანათლებლო პროგრამების დამატება ბაზრის მოთხოვნების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ხდება.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში არსებობს პოტენციალი შენობის სისტემების ინჟინერიაში საერთაშორისო დონის პროგრამის დანერგვისათვის, რომელიც ინჟინრული საფუძვლების ფართო სპექტრს მოიცავს და ინტერდისციპლინარული სწავლების მიდგომებს ითვალისწინებს. შედეგად, მომავალი კურსდამთავრებულები მაღალი კონკურენტუნარიანობით გამოირჩევიან და დასაქმების ფართო არეალი აქვთ.

2019 წლის დასაწყისში თავისუფალმა უნივერსიტეტმა შენობის სისტემების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა ჩამოაყალიბა. პროგრამაში ინჟინერიის სხვადასხვა სფეროა გაერთიანებული ინჟინერიისადმი სისტემური მიდგომის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის დინამიურობას და ამით ხელს უწყობს საბაზრო ცვლილებებისადმი კურსდამთავრებულების სწრაფ ადაპტაციას. პროგრამა ფოკუსირებულია შენობის საინჟინრო სისტემების ინტეგრირებულ, ჰოლისტიკურ ხედვაზე, გაცნობიერებაზე, ანალიზსა და ურთიერთმოქმედების საკითხებზე. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ, როგორც შენობის ცალკეული საინჟინრო სისტემების დაპროექტებაში, მონტაჟში, გამართვასა და მართვაში მონაწილეობის მიღება, ასევე შეეძლებათ ამ სისტემების ურთიერთქმედების ეფექტების, ამოცანების და გამოწვევების ცოდნა, გაცნობიერება შეფასება და გადაწყვეტა პრაქტიკულ საქმიანობაში.

პროგრამის ხელმძღვანელია მაიკლ სონდერსი (Michael Saunders), რომელსაც როგორც პრაქტიკული ისე თეორიული მრავალწლიანი საერთაშორისო გამოცდილება აქვს.

**ხედვა 2022-2024:**

პროგრამა ამოქმედებულია და მიღებულია სტუდენტები

**შეფასების კრიტერიუმი:**

შენობის სისტემების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები

**შეფასების მეთოდი:**

ახალი პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებით პროგრესის შეფასების მიზნით, მოხდა პროგრამის კოორდინატორთან და პრორექტორთან და სხვა დაკავშირებულ პირებთან შეხვედრები.

**დასკვნა:**

შენობის სისტემების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამამ 2019 წლის 19 დეკემბერს წარმატებით გაიარა აკრედიტაცია.

2020-2021 სასწავლო წლისათვის პირველად გამოცხადდა პროგრამაზე მიღება. შედეგად ჩაირიცხა 27 სტუდენტი და დამატებით ორი სტუდენტი გადმოვიდა მობილობით. რაც შეეხება საანგარიშო პერიოდს, 2021-2022 სასწავლო წელს პროგრამაზე 27 სტუდენტი ჩაირიცხა.

შენობის სისტემების ინჟინერია პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტი XI-XII კლასის მოსწავლეებისათვის კონკურს Bonum Domum ატარებს. კონკურსი მიზნად ისახავდა შეეფასებინა თუ რამდენად აცნობიერებდნენ მონაწილეები შენობის ინტეგრირებული სისტემების პროცესებს და ამოცანების გადაჭრის ხერხებს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აღნიშნული კონკურსი უკვე მეორედ ჩატარდა. მასში მონაწილეობა 17 მოსწავლე იღებდა საიდანაც ორ გამარჯვებულს თავისუფალ უნივერსიტეტში სწავლის ვაუჩერი გადაეცა.

პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს მჭიდრო თანამშრომლობა აქვს სხვადასხვა პროფილურ კომპანიასთან. ხშირად იმართება კომპანიების წარმომადგენლებთან სტუდენტების შეხვედრები და ასევე, სტუდენტების ტური კომპანიებში. აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს სტუდენტებს უფრო ღრმად შეისწავლონ არსებული პროფესიული გამოწვევები და გაეცნონ რეალურ ამოცანებს შენობის სისტემების კუთხით.

**ხედვა 2023-2025:**

თავისუფალი უნივერსიტეტის ხედვაა შენობის სისტემების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის კიდევ უფრო დახვეწა და პოპულარიზაცია. უნივერსიტეტი გააგრძელებს ინფორმაციის გავრცელებისთვის სხვადასხვა სახის ღონისძიებების გამართვას.

## 12. საგანმანათლებლო პროგრამები

თავისუფალი უნივერსიტეტი მუდმივად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების ძირეულ გადახედვას, განახლებას და განვითარებას, რათა პროგრამები სრულად მიესადაგებოდეს თანამედროვე საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და აქტუალურ საკითხებს მოიცავდეს.

ამ მიზნით რეგულარულად იმართება პროგრამაში დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები და პროგრამის შინაარსობრივი განხილვა. შეხვედრები იმართება, როგორც სტუდენტებთან და ლექტორებთან, ასევე დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან. მათგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება სილაბუსების, კურიკულუმების და მთლიანად პროგრამის მოდიფიკაცია.

ხედვა 2022-2024:

პროგრამების გადახედვა და კრიტიკული ანალიზი

შეფასების კრიტერიუმი:

რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი

შეფასების მეთოდი:

პროგრამების მდგომარეობის შეფასების მიზნით შესწავლილ იქნა თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები. ასევე მოხდა სხვადასხვა სახის მონაცემების ანალიზი.

დასკვნა:

**პროგრამების კრიტიკული ანალიზი**

ყოველი აკადემიური წლის განმავლობაში 2-ჯერ (შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებს შორის) ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების კრიტიკული ანალიზი, რომელიც შესაძლოა ეფუძნებოდეს სტუდენტების გამოკითხვისა და მათთან განხორციელებული ფოკუს-ჯგუფების შედეგებს, კურსდამთავრებულებთან ჩატარებულ ინტერვიუებს, დამსაქმებლებისა და ლექტორებისაგან მიღებულ ინფორმაციას.

საგანმანათლებლო პროგრამების კრიტიკული ანალიზი მოიცავს დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, პრიორიტეტების იდენტიციფიცირებას, შესაბამისი აქტივობების განსაზღვრასა და განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამების კრიტიკული ანალიზის შედეგად შესაძლოა განხორციელდეს ისეთი ცვლილებები, როგორიცაა: სილაბუსებში თემატიკისა და

ლიტერატურის განახლება, შეფასების სისტემების შესაბამისი საგნების მიზნებთან მორგება, პრაქტიკული ან ლაბორატორიული მეცადინეობების დამატება, ახალი საგნების დამატება, საკადრო ცვლილება და ა.შ.

2021-2022 აკადემიური წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი პროგრამების გადახედვა: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ოპერაციების მენეჯმენტში, სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა.

პროგრამების რეგულარული გადახედვის და კრიტიკული ანალიზის პარალელურად საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმატებით განხორციელდა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის შემდეგი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება:

- ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამის 3 წლის ანგარიში
- ვიზუალური ხელოვნების და დიზაინის საბაკალავრო პროგრამის 3 წლის ანგარიში
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში
- სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის მონიტორინგი
- ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის 3 წლის ანგარიში
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის 3 წლის ანგარიში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 2-მა პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამების, მათი სილაბუსების და კურიკულუმების სიღრმისეულ შესწავლას და საჭიროებისამებრ მოდიფიკაციას. ორივე პროგრამამ მიიღო სრული აკრედიტაცია 7 წლით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აკრედიტაცია შემდეგმა პროგრამებმა გაიარა:

- მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის საკრედიტაციო განაცხადი გაგზავნილ იქნა 2021 წლის 12 მარტს, თუმცა გადაწყვეტილება აკრედიტაციის თაობაზე მიღებულ იქნა საანგარიშო პერიოდის მიმდინარეობისას
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაცია

**ხედვა 2023-2025:**

თავისუფალი უნივერსიტეტის მიზანია სტუდენტებს თანამედროვე მიდგომებზე დაფუძნებული ცოდნა გადასცეს. შესაბამისად, უნივერსიტეტის ხედვაა მომავალშიც რეგულარულად მოხდეს პროგრამების გადახედვა და თანამედროვე საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად მოდიფიკაცია, არსებული თანამედროვე მიდგომების დანერგვა.

## 13. სწავლის შედეგების შეფასება

თავისუფალ უნივერსიტეტში სწავლების მოდელი შემუშავებულია სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიაში არსებული საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით, კერძოდ, პროფესორ ჯონ ბიგსის მეთოდოლოგიური მიდგომების მიხედვით[1]. ეს გულისხმობს შემდეგს: ყოველი სწავლის შედეგისთვის შერჩეულია შესაბამისი შეფასების მეთოდი. შერჩეული შეფასების მეთოდი გულისხმობს ცოდნის შემოწმების ისეთი ტექნიკების გამოყენებას, რომლებიც რელევანტური და ადეკვატურია კონკრეტული სწავლის შედეგის მისაღწევად სასწავლო კურსში, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია საგანმანათლებლო პროგრამაში დასახული კომპეტენციების მისაღწევად. სწავლის შედეგების შეფასების დაგეგმვა ხდება სილაბუსის დაგეგმვისას და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერის მიერ მოწმდება მისი რელევანტურობა და ადეკვატურობა დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე სწავლის შედეგებთან მიმართებაში.

თავისუფალ უნივერსიტეტს ყავს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი, რომელიც მუდმივად ატარებს ტრენინგებსა და ვორქშოფებს ლექტორებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ეფექტურობა და გამჭირვალობა.

**ხედვა 2022-2024:**

სწავლების შედეგების ფორმულირებისა და შეფასებების კუთხით, რეგულარული ტრენინგებისა და ვორქშოფების ჩატარება

**შეფასების კრიტერიუმი:**

სტატისტიკური მონაცემები, სილაბუსების გამართულობის ხარისხი

**შეფასების მეთოდი:**

სწავლის შედეგების შეფასების კუთხით განხორციელებული ღონისძიებების შეფასების კუთხით მოხდა სამუშაო ჯგუფთან შეხვედრა და მონაცემების მოძება-ანალიზი.

**დასკვნა:**

საანგარიშო პერიოდში ინტენსიურად ტარდებოდა ტრენინგები/ვორქშოფები ლექტორებთან. სულ ჯამში დაახლოებით 20 ლექტორთან გაიმართა ინდივიდუალური შეხვედრა, რომელზეც დეტალურად იყო განხილული

---

[1] John Biggs : Aligning teaching for constructing learning;

შეფასების სისტემის სწავლის შედეგებთან რელევანტურობა. ახსნილი იყო სწავლების სტრატეგიების, ცოდნის შემოწმების ფორმების და მეთოდების გამართულობა, რელევანტურობა და ეფექტურობა. ლექტორებს გადაეცათ სახელმძღვანელო მასალები ცოდნის შემოწმების ფორმების, შეფასების სისტემის და სემინარებზე სტუდენტებთან დისკუსიის გამართვის დასახვეწად.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 2-მა პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამების, მათი სილაბუსებისა და კურიკულუმების სიღრმისეულ შესწავლას და საჭიროებისამებრ მოდიფიკაციას. ყველა პროგრამამ მიიღო სრული აკრედიტაცია 7 წლით.

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი უკუკავშირს იღებს ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევებიდან, ეს უკუკავშირი მნიშვნელოვანია იმ ხარვეზების გამოსაკვეთად, რომელიც ეხება სწავლების სტრატეგიებს. ხარისხის სამსახურის მენეჯერთან ერთად აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერმა იმუშავა კითხვარის მოდიფიკაციაზე, რომელიც  უფრო დაეხმარება როგორც ხარისხის სამსახურის, ისე აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერს, დახვეწონ ხარისხის კონტროლის შიდა მექანიზმები და ხელი შეუწყონ ხარისხის უფრო მეტად გაუმჯობესებას უნივერსიტეტში.

**ხედვა 2023-2025:**

მნიშვნელოვანია, ყოველი სწავლის შედეგისთვის სწორად იქნეს შერჩეული შეფასების მეთოდი. იგი მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია საგანმანათლებლო პროგრამაში დასახული კომპეტენციების მისაღწევად. უნივერსიტეტის ხედვაა, აქტიურად გაგრძელდეს სწავლების შედეგების ფორმულირებისა და შეფასებების კუთხით რეგულარული ტრენინგებისა და ვორქშოფების ჩატარება.

## 14. აკადემიური მოსწრება

თავისუფალი უნივერსიტეტის სწავლების კონცეფცია დაფუძნებულია ლიბერალური განათლების პრინციპებზე. სწავლება მიმართულია სტუდენტებში თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბების, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებისკენ. სწავლების უმნიშვნელოვანესი მიზანია, სტუდენტებმა შეძლონ თავისუფალი აზროვნება და სრულად მოახერხონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება.

**ხედვა 2022-2024:**

მე-2, მე-3 და მე-4 კურსის ბაკალავრიატის სტუდენტთა 70% გააჩნია საშუალო GPA მინიმუმ 3.0

**შეფასების კრიტერიუმი:**

ფაქტობრივი მონაცემები

**შეფასების მეთოდი:**

სტუდენტების GPA-ს შეფასების მიზნით მოხდა 2020-2021 სასწავლო წლის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონაცემების შეგროვება და დამუშავება.

**დასკვნა:**

როგორც დადგინდა, 2021-2022 სასწავლო წელს მე-2, მე-3 და მე-4 კურსის ბაკალავრიატის სტუდენტთა 73%-ს გააჩნდა GPA 3.0.

2020-2021 სასწავლო წლის მონაცემების მიხედვითაც იგივე მაჩვენებელი იყო.

**ხედვა 2023-2025:**

უნივერსიტეტის ხედვაა, რომ მომავალში მე-2, მე-3 და მე-4 კურსის ბაკალავრიატის სტუდენტთა 70%-ს გააჩნდეს GPA მინიმუმ 3.0.

## 15. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი

თავისუფალი უნივერსიტეტი გამოირჩევა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი დონით. იგი მიიღწევა ხარისხიანი სწავლებითა და დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით. უნივერსიტეტში მუდმივად იმართება დასაქმების ფორუმები და სხვა შეხვედრები დამსაქმებლებთან. ეს ყოველივე ასევე ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მისადაგებას.

**ხედვა 2022-2024:**

კურსდამთავრებულთა დასაქმება მინ. 94% შენარჩუნება

**შეფასების კრიტერიუმი:**

მონაცემები დასაქმების შესახებ

**შეფასების მეთოდი:**

კურსდამთავრებულთა დასაქმების დონის განსაზღვრის მიზნით მოხდა თავისუფალი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან დაკავშირება და მათი კარიერული წინსვლის შესახებ ინფორმაციის მოძიება და ანალიზი.

**დასკვნა:**

შეგროვებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შენარჩუნდა კურსდამთავრებულთა დასაქმების დონე და იგი 95%-ს შეადგენდა. დასაქმების მაღალი დონე განპირობებულია, როგორც ხარისხიანი სწავლების, ისე სხვადასხვა ხელშემწყობი აქტივობებით, როგორებიცაა დამქირავებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა, დასაქმების ფორუმები, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობა და სხვა.

თავისუფალი უნივერსიტეტი ყოველ სემესტრში მართავს დასაქმების ფორუმს, რომელზეც საქართველოში არსებული ყველა წარმატებული კომპანია არის წარმოდგენილი. თითოეულ ფორუმზე დაახლოებით 100 ორგანიზაცია იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სფეროებიდან.

2022 წლის 19 აპრილს კახა ბენდუქიძის კამპუსში გაიმართა დასაქმების ფორუმი, რომელში მონაწილეობა 100-ზე მეტმა კომპანიამ სხვადასხვა დარგიდან მიიღო. ფორუმში მონაწილეობაზე მაღალი იყო ინტერესი როგორც დამსაქმებლების ისე სტუდენტების მხრიდან. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი წლის შემდეგ კამპუსის ტერიტორიაზე პირველად ჩატარდა ფორუმი, ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე გასულ პერიოდში უნივერსიტეტს მისი ჩატარება დისტანციურად მოუწია.

**ხედვა 2023-2025:**

თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებისთვის მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი დონე. უნივერსიტეტი გააგრძელებს დასაქმების ხელშემწყობი აქტივობების რეგულარულად ჩატარებას, რათა დაეხმაროს სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს კარიერულ წინსვლაში. თავისუფალი უნივერსიტეტის ხედვაა მომდევნო წლებში კურსდამთავრებულთა დასაქმების 94%-იანი დონე შენარჩუნდეს. კურსდამთავრებულთა დასაქმების აღნიშნული დონის სტაბილურად შენარჩუნების შემდგომ მოხდება ნიშნულის გადახედვა და შესაბამის შემთხვევაში მისი ამაღლება.

## 16. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად

თავისუფალი უნივერსიტეტი გამოირჩევა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი დონით. იგი მიიღწევა ხარისხიანი სწავლებითა და დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით. უნივერსიტეტში მუდმივად იმართება დასაქმების ფორუმები და სხვა შეხვედრები დამსაქმებლებთან. ეს ყოველივე ასევე ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მისადაგებას.

**ხედვა 2022-2024:**

კურსდამთავრებულთა დასაქმების მინ.91% შენარჩუნება

**შეფასების კრიტერიუმი**

მონაცემები დასაქმების შესახებ

**შეფასების მეთოდი:**

კურსდამთავრებულთა დასაქმების დონის მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად განსაზღვრის მიზნით მოხდა თავისუფალი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან დაკავშირება და მათი კარიერული წინსვლის შესახებ ინფორმაციის მოძიება და ანალიზი.

**დასკვნა:**

შეგროვებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დასაქმების დონე მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად 91% დონე შენარჩუნდა.

თავისუფალი უნივერსიტეტი ყოველ სემესტრში მართავს დასაქმების ფორუმს, რომელზეც საქართველოში არსებული ყველა წარმატებული კომპანია არის წარმოდგენილი. თითოეულ ფორუმზე დაახლოებით 100 ორგანიზაცია იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სფეროებიდან.

2022 წლის 19 აპრილს კახა ბენდუქიძის კამპუსში გაიმართა დასაქმების ფორუმი, რომელში მონაწილეობა 100-ზე მეტმა კომპანიამ სხვადასხვა დარგიდან მიიღო. ფორუმში მონაწილეობაზე მაღალი იყო ინტერესი როგორც დამსაქმებლების ისე სტუდენტების მხრიდან. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი წლის შემდეგ კამპუსის ტერიტორიაზე პირველად ჩატარდა ფორუმი, ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე გასულ პერიოდში უნივერსიტეტს მისი ჩატარება დისტანციურად მოუწია.

**ხედვა 2023-2025:**

თავისუფალი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებისთვის მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი დონე. უნივერსიტეტი გააგრძელებს დასაქმების ხელშემწყობი აქტივობების რეგულარულად ჩატარებას, რათა დაეხმაროს სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს კარიერულ წინსვლაში. თავისუფალი უნივერსიტეტის ხედვაა, მომდევნო წლებში კურსდამთავრებულთა დასაქმების 91%-იანი დონე შენარჩუნდეს. კურსდამთავრებულთა დასაქმების აღნიშნული დონის სტაბილურად შენარჩუნების შემდგომ მოხდება ნიშნულის გადახედვა და შესაბამის შემთხვევაში მისი ამაღლება.

## 17. საბაკალავრო პროგრამების დასრულების მაჩვენებელი

თავისუფალი უნივერსიტეტი გამოირჩევა სწავლების მაღალი ხარისხით და შესაბამისად რთულია სტუდენტების დიდი ნაწილისათვის სწავლების განსაზღვრულ დროში დასრულება.

**ხედვა 2022-2024:**

საბაკალავრო პროგრამის 6 წელიწადში დასრულების მაჩვენებელი 75%

**შეფასების კრიტერიუმი:**

მონაცემები სწავლის დასრულების შესახებ

**შეფასების მეთოდი:**

საბაკალავრო პროგრამის დასრულების მაჩვენებლის შეფასების მიზნით მოხდა სტუდენტების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება.

**დასკვნა:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 6 წელიწადში დასრულების მაჩვენებელმა 84% შეადგინა, რაც მცირედი ზრდაა გასულ პერიოდთან შედარებით, როდესაც იგი 83%-ს უტოლდებოდა.

**ხედვა 2023-2025:**

თავისუფალი უნივერსიტეტის ხედვაა მომდევნო წლებში საბაკალავრო პროგრამის 6 წელიწადში დასრულების მაჩვენებელმა მინიმუმ 75% შეადგინოს.

## 18. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვა

თავისუფალ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის პროცესში ანალიზი უტარდება ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა ფართი, პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა და სხვა. უნივერსიტეტის ხედვაა, არ მოხდეს სტუდენტთა კონტიგენტის ნახტომისებური ზრდა არამედ ზრდა განხორციელდეს ეტაპობრივად. 2018-2025 წლების სტრატეგიული ხედვის შესაბამისად, უნივერსიტეტი გეგმავს კონტიგენტის დაახლოებით 30%-ით ზრდას, რაც წელიწადში დაახლოებით 50 სტუდენტით ზრდას ნიშნავს.

**ხედვა 2022-2024:**

აქტიური სტუდენტების რაოდენობა გაიზარდოს დაახლოებით 50-ით

**შეფასების კრიტერიუმი:**

ფაქტობრივი მონაცემი

**შეფასების მეთოდი:**

აქტიური სტუდენტების რაოდენობის ცვლილების ანალიზის მიზნით მოხდა ფაქტობრივი მონაცემების შეგროვება.

**დასკვნა:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა 234 სტუდენტით შემცირდა, რაც ძირითადად გამოწვეულია სტუდენტების მიერ აკადემიური შვებულებების აღებით. აკადემიური შვებულების აღების მიზეზი ხშირ შემთხვევაში შესაძლოა იყოს დაკავშირებული ახალ კორონავირუსით გამოწვეულ გარემოებებთან. სტუდენტების ნაწილი აკადემიურ შვებულებას ასევე მაღალ კურსებზე დასაქმების გამო იღებს.

| სწავლის საფეხური | 2018 -2019 სასწავლო წელი | 2019-2020 სასწავლო წელი | 2020-2021 სასწავლო წელი | 2021-2022 სასწავლო წელი |
|---|---|---|---|---|
| ბაკალავრიატი | 2242 | 2479 | 2671 | 2444 |
| მაგისტრატურა | 292 | 342 | 372 | 365 |
| დოქტორანტურა | 23 | 18 | 19 | 19 |
| **სულ** | **2557** | **2839** | **3062** | **2828** |

**ხედვა 2023-2025:**

უნივერსიტეტის ხედვაა მომავალშიც აქტიური სტუდენტების რაოდენობა დაახლოებით 50-ით გაიზარდოს წელიწადში.

## 19. მისაღები სტუდენტების საშუალო საკონკურსო ქულა

თავისუფალ უნივერსიტეტში აბარებენ აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ მაღალი საკონკურსო ქულებით. ამ მაჩვენებლით უნივერსიტეტი ლიდერია დაარსების დღიდან.

**ხედვა 2022-2024:**

თავისუფალმა უნივერსიტეტმა შეინარჩუნოს პირველი ადგილი

**შეფასების კრიტერიუმი:**

ფაქტობრივი მონაცემები

**შეფასების მეთოდი:**

2021 წელს ჩარიცხულთა საშუალო საკონკურსო ქულის და რეიტინგის გამოსავლენად მოხდა თავისუფალ უნივერსიტეტში ჩაბარებულთა საკონკურსო ქულების სტატისტიკური ანალიზი.

**დასკვნა:**

2021 წელს თავისუფალ უნივერსიტეტში ჩარიცხულთა საშუალო საკონკურსო ქულამ 2080 შეადგინა და საერთო რეიტინგში ტრადიციულად პირველი ადგილი დაიკავა.

2020 წლიდან შეიცვალა მისაღები გამოცდების სტრუქტურა. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტი 3 გამოცდას აბარებენ – ქართულ ენასა და ლიტერატურას, უცხო ენებს და მესამე არჩევით საგანს. ზოგადი უნარების გამოცდა აღარ არის სავალდებულო. 2021 წლიდან გარკვეულ პროგრამებზე არჩევით საგნების ჩამონათვალს შემდეგი საგნები დაემატა: ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ისტორია, სამოქალაქო განათლება და გეოგრაფია.

**ხედვა 2023-2025:**

თავისუფალი უნივერსიტეტის ხედვაა ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული საშუალო ქულის მიხედვით შედგენილ რეიტინგში მომავალში შეინარჩუნოს პირველი ადგილი.

## 20. პრეზენტაციები საშუალო სკოლებში

თავისუფალი უნივერსიტეტი რეგულარულად აწვდის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებს ინფორმაციას სკოლებში პრეზენტაციების ჩატარებით. პრეზენტაცია მოიცავს უნივერსიტეტის პროგრამების, ჩასაბარებელი საგნების და ზოგადად უნივერსიტეტის აქტივობების შესახებ ინფორმაციას.

**ხედვა 2022-2024:**

წელიწადში მინიმუმ 250 საშუალო სკოლაში პრეზენტაციის ჩატარება

**შეფასების კრიტერიუმი:**

ფაქტობრივი მონაცემები

**შეფასების მეთოდი:**

თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ საშუალო სკოლებში ჩატარებული პრეზენტაციების რაოდენობის დადგენის მიზნით მოხდა რაოდენობრივი ინფორმაციის შეგროვება.

**დასკვნა:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თავისუფალმა უნივერსიტეტმა 50 პრეზენტაცია ჩაატარა საშუალო სკოლებში. ყველა პრეზენტაცია ადგილზე, ფიზიკური დასწრებით იყო ჩატარებული. პრეზენტაციების სიმცირე გამოწვეულია ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო დაწესებული შეზღუდვებით, რის გამოც კლასების ნაწილი პერიოდულად ონლაინ რეჟიმზე იყო გადასული.

**ხედვა 2023-2025:**

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის გამო საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ნაკლები სკოლების მოცვა მოხერხდა ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული, სიტუაციის ნორმალიზაციის გათვალისწინებით უნივერსიტეტი ინარჩუნებს ხედვას წელიწადში დაახლოებით 250 საშუალო სკოლაში ჩაატაროს პრეზენტაციები.

## 21. ღია კარის დღეები აბიტურიენტებისთვის

თავისუფალი უნივერსიტეტი აქტიურად ატარებს ღია კარის დღეებს. მათი მთავარი მიზანი სკოლის მოსწავლეებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის აკადემიური პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა. სიმულაციური სალექციო პროცესის რეჟიმში სკოლის მოსწავლეები ესწრებიან მათთვის საინტერესო პროგრამების ლექციებს და იღებენ სრულყოფილ ინფორმაციას როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ საკითხებზე.

**ხედვა 2022-2024:**

წელიწადში მინიმუმ 6-ჯერ ჩატარება და მინ. 1500 მონაწილე

**შეფასების კრიტერიუმი:**

ფაქტობრივი მონაცემები

**შეფასების მეთოდი:**

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ღია კარის დღეების რაოდენობის დადგენის მიზნით შეგროვებულ იქნა აღნიშნულ ღონისძიებების შესახებ რაოდენობრივი მონაცემები.

**დასკვნა:**

თავისუფალი უნივერსიტეტი მუდმივად ატარებს სხვადასხვა აქტივობებს ცნობიერების ასამაღლებლად - გაძლიერდა მარკეტინგული აქტივობები და სოციალური მედიის საშუალებით საზოგადოებასთან კომუნიკაცია. შედეგად სულ უფრო დიდია დაინტერესებული პირების უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თავისუფალმა უნივერსიტეტმა 9 ღია კარის დღე, იგივე გაცნობითი შეხვედრა ჩაატარა. ღია კარის დღეები კამპუსის ტერიტორიაზე წარიმართა და მათ ჯამში 2500-მდე აბიტურიენტი დაესწრო. ამასთან, ჩატარდა 2 Live გაცნობითი შეხვედრა აბიტურიენტებისთვის.

რაც შეეხება მაგისტრატურის პროგრამებს, ჩატარდა ორი ღია კარის დღე და ერთი Live გაცნობითი შეხვედრა.

**ხედვა 2023-2025:**

თავისუფალი უნივერსიტეტის მიზანია აბიტურიენტებს სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდოს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. უნივერსიტეტის ხედვაა მომდევნო წლებში ღია კარის დღეები წელიწადში დაახლოებით 6-ჯერ ჩატარდეს და 1500 მონაწილე მოიცვას.

## 22. კონკურსები აბიტურიენტებისათვის და სტუდენტებისთვის

აბიტურიენტების მოზიდვის მიზნით წლების განმავლობაში უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს. ტარდება კონკურსები აბიტურიენტებისთვის, რომელთა ბენეფიციარები, ერთი მხრივ, იღებენ საინტერესო გამოცდილებას, ხოლო, მეორე მხრივ, შეუძლიათ დაიფინანსონ სწავლის საფასური თავისუფალი უნივერსიტეტის კონკრეტულ პროგრამებზე.

**ხედვა 2022-2024:**

წელიწადში მინ. 4 კონკურსის ჩატარება და მინ. 350 მონაწილე

**შეფასების კრიტერიუმი:**

ფაქტობრივი მონაცემები

**შეფასების მეთოდი:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ აბიტურიენტებისათვის ჩატარებული კონკურსების შესახებ შეგროვილ იქნა რაოდენობრივი ინფორმაცია.

**დასკვნა:**

**კონკურსები აბიტურიენტებისთვის**

მსოფლიოში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო თავისუფალ უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი კონკურსის ჩატარება მოხერხდა, რომელიც მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩატარდა.

ზოგადად, უნივერსიტეტი შემდეგი სახის კონკურსებს ატარებს რეგულარულად: ლავუაზიეს წრე, ედისონის ლიგა, თავისუფალი აზროვნება, Marshall, De Re Publica, VITRUVIUS და სხვა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა ორი კონკურსი ჩაატარა აბიტურიენტებისთვის და ჯამში 250-მდე მეტი აბიტურიენტი მოიცვა. ამ პერიოდში შემდეგი კონკურსები ჩატარდა:

- ედისონის ლიგა - ამ კონკურსში 36 გუნდი იღებდა მონაწილეობას და თითოეული გუნდი კვლავაც სამ წევრს აერთიანებდა. მასში ჯამში 108 მონაწილე ჩაერთო.
- ლავუაზიეს წრე - მონაწილეობას 41 გუნდი იღებდა და თითოეული გუნდი შედგებოდა 3 წევრისგან. ჯამში მონაწილეთა რაოდენობა 123-ს შეადგენდა.

- Bonum Domum - ამ კონკურსში 17 აბიტურიენტი იღებდა მონაწილეობას.

**სწავლის დაფინანსება - საგზური 2021**

2019 წლიდან სოციალურად დაუცველ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ 4 წლის განმავლობაში უფასოდ ისწავლონ თავისუფალ უნივერსიტეტში. 2019 სასწავლო წელს 8 სოციალურად დაუცველი სტუდენტი ჩაირიცხა უნივერსიტეტში, 2020 წელს კი - 23 სტუდენტი.

რაც შეეხება 2021 წელს, თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში 14 სოციალურად დაუცველი სტუდენტი ჩაირიცხა და ისინი 4 წლის განმავლობაში უფასოდ შეძლებენ სწავლას.

## ალუმნი ფონდი

ალუმნი ფონდი 2020 წელს თავისუფალი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გარკვეული ჯგუფის ინიციატივით დაარსდა. ფონდის მიზანია წარმატებულ სტუდენტებს ხელი შეუწყონ თავისუფალ უნივერსიტეტში განათლების მიღებაში. ფონდი ამჟამად სამ სხვადასხვა პროექტშია ჩართული.

**დააფინანსე შესაძლებლობა**

ფონდი მიზნად ისახავს, ყოველ ახალ მიღებაზე, სულ მცირე ერთ სოციალურად დაუცველ სტუდენტს დაუფინანსოს თავისუფალ უნივერსიტეტში სწავლა და პირველი სასწავლო წლის სტიპენდია. ამ დროისთვის უკვე ორ სოციალურად დაუცველ სტუდენტს დაუფინანსდა სასწავლო წლის გადასახადი. შემდეგი სასწავლო წლისათვის თანხის შეგროვება დაწყებულია და კონკურსის საფუძველზე კიდევ ერთ სტუდენტს დაუფინანსდება 2022-2023 სასწავლო წლის სწავლის საფასური.

**კონკურსი STEM მომავალი პროფესიონალი**

თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კურსდამთავრებულის, თამარ მენთეშაშვილის, ინიციატივითა და დაფინანსებით ალუმნი ფონდმა საგრანტო პროექტი - საგრანტო კონკურსი STEM-ის მომავალი პროფესიონალი" დაწესდა, რომლის ფარგლებშიც კომპიუტერული მეცნიერებების, მათემატიკისა და ინჟინერიის სკოლის გამორჩეული ხედვებისა და მიზნების მქონე გოგო სტუდენტს, გრანტის ფარგლებში, ერთი სასწავლო წლის სწავლის საფასური უფინანსდება.

აღნიშნულ კონკურსი ამ დროისთვის უკვე სამჯერ ჩატარდა. ორ სტუდენტს 2021-2022 წლის სწავლის საფასური უკვე დაუფინანსდა, ხოლო ახალ გამარჯვებულს მომდევნო სასწავლო წელი ექნება დაფინანსებული.

გარდა ამისა, სამივე კონკურსის განმავლობაში ფინალში გასულ ყველა მონაწილეს გადაეცათ ერთჯერადი სტიპენდია, დაახლოებით 15 სტუდენტს ჯამში.

**პროექტი Mastercard-თან**

მიმდინარე წელს თავისუფალ უნივერსიტეტსა და თავისუფალი უნივერსიტეტის ალუმნი ფონდმა გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმი Mastercard-თან. თანამშრომლობის ფარგლებში, მზადდება ფინანსური ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი ქართულ ენაზე და LADDER-ის აპლიკაცია (Mastercad-ის ფინანსური განათლების მარტივი ინსტრუმენტი). ორივე მათგანი ფინანსური განათლების განვითარებას ისახავს მიზნად.

- ლექსიკონში არა მხოლოდ ფინანსური ტერმინების ქართული განმარტებები იქნება სიახლე, არამედ, თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდი ქართულ ენაში ახალი ტერმინების დამკვიდრებას შეეცდება, რომლებიც აქამდე ხშირად ბარბარიზმების სახით გვხვდებოდა. თავისუფალი უნივერსიტეტი ლექსიკონს სასწავლო პროცესშიც გამოიყენებს. ლექსიკონის შედგენაზე თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები, ლექტორები და ადმინისტრაცია მუშაობენ.
- LADDER-ის გამოყენებით კი, მომხმარებლები და SME-ები მარტივად შეძლებენ გაეცნონ და დაეუფლონ საკუთარი და ბიზნესის ფინანსების განკარგვისა და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების ძირითად პრინციპებსა და ხერხებს.

## MACS[E]-ს სტიპენდია

თავისუფალი უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების და მათემატიკის პროგრამის კურსდამთავრებულების ინიციატივით და დაფინანსებით 2020 წლიდან MACS[E]-ს სტიპენდია დაწესდა.

სტიპენდიის მიზანია კომპიუტერული მეცნიერების და მათემატიკის პროგრამის სტუდენტებში წაახალისოს კარგი აკადემიური მოსწრება, რამდენადაც ისინი ხშირად მესამე კურსიდან საქმდებიან და სათანადო დროს ვეღარ უთმობენ აკადემიურ განვითარებას.

სტიპენდიის მიღება შეუძლია MACS[E]-ს სკოლის წარჩინებულ მესამე კურსის სტუდენტებს. სტიპენდია არის ყოველთვიური და მისი ხანგრძლივობა ერთ აკადემიური წელია (9 თვე). აღნიშნული სტიპენდიით უკვე ისარგებლა ორმა სტუდენტმა 2020-2021 და 2021-2022 სასწავლო წლების განმავლობაში. შემდეგი სასწავლო წლის დაფინანსებისთვის სახსრების მოზიდვა უკვე მიმდინარეობს.

სტიპენდიის შენარჩუნებისათვის შერჩეული სტუდენტის GPA არ უნდა იყოს 3.0-ზე დაბალი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში (GPA სემესტრულად გადაიხედება). აღნიშნული პირობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში შემდეგ სემესტრში სტიპენდია ავტომატურად გადაეცემა რიგით შემდეგ საუკეთესო სტუდენტს.

**ხედვა 2023-2025:**

აბიტურიენტებისთვის კონკურსები მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის უკეთ გაცნობისა და მომავალი სტუდენტების მოზიდვის მიზნით. უნივერსიტეტის ხედვაა აბიტურიენტებისათვის წელიწადში დაახლოებით 4 კონკურსის და 350 მონაწილის მოცვა.

## 23. აკადემიური პერსონალის დიდაქტიკური უნარების განვითარება

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში აკადემიური პერსონალის სრული ინტეგრაციის მიზნით თავისუფალ უნივერსიტეტში ტარდება საორიენტაციო შეხვედრები. ეს შეხვედრების აკადემიურ პერსონალს ხელს უწყობს:

- სილაბუსების და შეფასების სისტემის გამართულ მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფაში
- სწავლისა და სწავლების სტრატეგიების დახვეწასა და გაუმჯობესებაში
- სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნიკების დანერგვაში
- ელექტრონული მართვის სისტემის ეფექტურად გამოყენებაში
- გამართული უწყისების შექმნაში

**ხედვა 2022-2024:**

ტრენინგებისა და ვორქშოპების აკადემიური პერსონალისთვის ჩატარება მეთოდიკასა და დიდაქტიკის შემდგომი განვითარებისათვის

**შეფასების კრიტერიუმი:**

ფაქტობრივი მონაცემები

**შეფასების მეთოდი:**

აკადემიური პერსონალის დიდაქტიკური უნარების განვითარების კუთხით უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასების მიზნით მოხდა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ვორქშოპებისა და სხვა პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების შესახებ მონაცემების შეგროვება და ანალიზი.

**დასკვნა:**

საანგარიშო პერიოდში მეთოდიკასა და დიდაქტიკის შემდგომი განვითარებისათვის უნივერსიტეტმა შესაბამისი ტრენინგები და ვორქშოპები ჩაატარა სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ლექტორებთან ჩატარდა 20-მდე ინდივიდუალური შეხვედრა/ვორქშოფი, რომლის დროსაც ახსნილი იყო სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში. მათ ასევე გადაეცათ შესამაბიმისი მასალა, რომელიც ეხმარება სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვაში, აუდიტორიის მართვაში, საგამოცდო დავალებების შედგენაში და საკუთარი პედაგოგიური გამოცდილების დაკვირვებისა და ანალიზში.

აღნიშნულ პერიოდში გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემური შემთხვევა დაკავშირებული ცოდნის შემოწმების ფორმებთან, სასწავლო მასალების

მოცულობასთან, კრედიტების საათების განაწილებასთან. ყველა შემთხვევაში მოხდა ხანგრძლივი კონსულტაციების ჩატარება და პრობლემის აღმოფხვრაზე მუშაობა.

**ხედვა 2023-2025:**

უნივერსიტეტთან უკეთ ინტეგრეაციასა და დიდაქტიკური უნარების გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია აკადემიურ პერსონალის სხვადასხვა აქტივობებში ჩართვა. შესაბამისად უნივერსიტეტის ხედვაა ტრენინგები და ვორქშოპები რეგულარულად ტარდებოდეს აკადემიურ პერსონალთან.

## უნივერსიტეტის პერსონალი (24-36)

თავისუფალი უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა დაფუძნებულია პროფესიული უნარების (merit-based), სამართლიანობისა და კონკურენტულობის წახალისების პრინციპებზე.

პოლიტიკის მიზანია თანამშრომლებისათვის ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალური პროდუქტიულობას და მაღალი შედეგების მიღწევას, გამორიცხავს ნეპოტიზმსა და კლიენტიზმს.

პერსონალის მართვის პრინციპები ხელს უწყობს უნივერსიტეტის თითოეულ თანამშრომელს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად შესრულებაში; უზრუნველყოფს უნივერსიტეტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლინებას; უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობის სუსტი მხარეების წარმოჩენას და მათ აღმოფხვრას.

ქვემოთ ცხრილში მოყვანილი პერსონალთან დაკავშირებული სამიზნე თანაფარდობები და შეფასების შედეგები.

| საქმიანობის სფერო | | 2022-2024 ხედვა | შეფასება | 2023-2025 ხედვა |
|---|---|---|---|---|
| 24 | აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მთლიან რაოდენობასთან | შემდეგი თანაფარდობის შენარჩუნება 1:0.7 | 1:0.6 | დაახლოებით შემდეგი თანაფარდობის შენარჩუნება 1:0.7 |
| 25 | აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა დაწესებულების პერსონალის მთლიან რაოდენობასთან | შემდეგი თანაფარდობის შენარჩუნება 1:3.5 | 1:3 | დაახლოებით შემდეგი თანაფარდობის შენარჩუნება 1:3.5 |
| 26 | აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან | შემდეგი თანაფარდობის შენარჩუნება 1:2 | 1:1.6 | დაახლოებით შემდეგი თანაფარდობის შენარჩუნება 1:2 |
| 27 | აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან | შემდეგი თანაფარდობის შენარჩუნება 1:9 | 1:8.2 | დაახლოებით შემდეგი თანაფარდობის შენარჩუნება 1:9 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28 | აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან | შემდეგი თანაფარდობის შენარჩუნება 15:1 | 1:17.3 | დაახლოებით შემდეგი თანაფარდობის შენარჩუნება 15:1 |
| 29 | ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან | შემდეგი თანაფარდობის შენარჩუნება 1:35 | 1:35.4 | დაახლოებით შემდეგი თანაფარდობის შენარჩუნება 1:35 |
| 30 | აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან | შემდეგი თანაფარდობის შენარჩუნება 1:5 | 1:4.7 | დაახლოებით შემდეგი თანაფარდობის შენარჩუნება 1:5 |
| 31 | აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან | შემდეგი თანაფარდობის შენარჩუნება 1:50 | 1:48 | დაახლოებით შემდეგი თანაფარდობის შენარჩუნება 1:5 |
| 32 | ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების რაოდენობის თანაფარდობა | შემდეგი თანაფარდობის შენარჩუნება 1.7:1 | 1.7:1 | დაახლოებით შემდეგი თანაფარდობის შენარჩუნება 1.7:1 |
| 33 | აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი | აკადემიური პერსონალის შენარჩუნება - დაახლოებით 85% | 87% | აკადემიური პერსონალის შენარჩუნება - დაახლოებით 85% |
| 34 | მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი | მოწვეული პერსონალის შენარჩუნება - დაახლოებით 75% | 80% | მოწვეული პერსონალის შენარჩუნება - დაახლოებით 75% |
| 35 | ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი | ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შენარჩუნება - დაახლოებით 70% | 90% | ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შენარჩუნება - დაახლოებით 70% |
| 36 | საერთაშორისო გამოცდილების მქონე პროფესორ- მასწავლებლები | საზღვარგარეთ განათლება ან/და სამუშაო გამოცდილება მიღებული პროფესორ-მასწავლებლების წილი მინიმუმ 15% | 17% | საზღვარგარეთ განათლება ან/და სამუშაო გამოცდილება მიღებული პროფესორ-მასწავლებლების წილი დაახლოებით 15% |

# კვლევითი საქმიანობა

## 37. ინსტიტუციონალიზაცია

თავისუფალი უნივერსიტეტის კვლევითი მისიაა ინტერდისციპლინური კვლევების განვითარება და მეცნიერებათაშორისი კავშირების გაღრმავება. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად შეიქმნა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები (სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში) და კვლევითი ცენტრები.

უნივერსიტეტის კვლევითი მისია გულისხმობს როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი ცოდნის შექმნას და მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანია კვლევით საქმიანობასა და სასწავლო პროგრამებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის შექმნა.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სადოქტორო სკოლა, რომლის მიზანია, შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც მომიჯნავე დისციპლინის მეცნიერები ერთობლივად იმუშავებენ სამეცნიერო ცოდნის გაღრმავებისა და გაფართოებისთვის.

2018 წელს სადოქტორო სკოლის საფუძველზე შეიქმნა თავისუფალი უნივერსიტეტის ჰუმანიტარული, სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა (HSNs), რომლის მისიაა სამეცნიერო კვლევების წარმოება. მასში გაერთიანებული პროგრამები შექმნილია თავისუფალ და აგრარულ უნივერსიტეტებში არსებული სკოლების და მათი აკადემიური პერსონალის ინტეგრირებული თანამშრომლობის საფუძველზე.

**ხედვა 2022-2024:**

კვლევითი საქმიანობის ინსტიტუციონალიზაცია

**შეფასების კრიტერიუმი:**

ახლად დაწყებული პროექტები და ხარჯები

**შეფასების მეთოდი:**

ინსტიტუციონალიზაციის კუთხით განხორციელებული აქტივობებისა და ახლად დაწყებული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოძიების მიზნით მოხდა შეხვედრების გამართვა რელევანტურ თანამშრომლებთან.

დასკვნა:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თავისუფალ უნივერსიტეტში 10 ახალი კვლევითი პროექტი დაიწყო. ქვემოთ მოყვანილია ინფორმაცია ზოგიერთ მათგანზე:

Anthropology of Anxiety

- **მონაწილეები:** ნუცა ბათიაშვილი, კეიტი ჰეიტმანეკი, რებეკა ლესტერი, საიბა ვარმა, სტეფანი ლარშანშე, თაუნსენდ მიდლტონი, სიუზან ლეფსელტერი
- **ვადები:** 06.2021-06.2022
- **ბიუჯეტი:** 19320$
- **დონორი ორგანიზაცია:** Wenner Gren Foundation

NIU Emerging Leaders Fellowship 2021

- **მონაწილეები:** კორეის გაერთიანების ინსტიტუტი, კორეის განათლების სამინისტრო
- **ვადები:** 2021-2022
- **დონორი ორგანიზაცია:** კორეის გაერთიანების ეროვნული ინსტიტუტი, კორეის განათლების სამინისტრო
- **მოკლე ანოტაცია:** პროექტი მიზნად ისახავს კორეის შემსწავლელი მეცნიერებების განვითარებას და ინტერნაციონალიზაციას. შესაბამისად, პროექტის ფარგლებში ტრადება ლექციები, კონფერენციები, დისკუსიები.

Memory and Anxiety

- **მონაწილეები:** ნუცა ბათიაშვილი
- **ვადები:** 2022-2023
- **ბიუჯეტი:** 25000$
- **დონორი ორგანიზაცია:** McDonnell Foundation, Washington University in St Louis
- **მოკლე ანოტაცია:** გრანტი აფინანსებს ერთი მხრივ კოლაბორაციულ პროექტს, რომელშიც მონაწილეობენ ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტის მკვლევარები. მეორე მხრივ აფინანსებს უშუალოდ ძირითადი მკვლევარის სავალე კვლევას, ასისტენტის ხარჯებს, ლიტერატურის შეძენას და ამერიკაში 2 ვიზიტს.

**„ცენტრალური აზიის არაბული დიალექტები: კაშკადარიული და ბუხარული დიალექტები“**

- **მონაწილეები:** გურამ ჩიქოვანი, ანა მილაშვილი
- **ვადები:** 23.07.2021 წ. - 23.01.2022 წ.
- **ბიუჯეტი:** 6 000 ლარი
- **დონორი ორგანიზაცია:** სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.
- **მოკლე ანოტაცია:** გურამ ჩიქოვანის წიგნი - „ცენტრალური აზიის არაბული დიალექტები: კაშკადარიული და ბუხარული დიალექტები„ (“The Arabic Dialects in Central Asia: Qashqa-darya and Bukhara Dialects”) - ეძღვნება ორიენტალისტური მეცნიერების მნიშვნელოვანი მიმართულების, არაბული ენათმეცნიერების აქტუალურ საკითხებს, კერძოდ, პერიფერიული არაბული დიალექტების სტრუქტურასა და სემიტურ, ინდოევროპულ, თურქული ენების ლექსიკური ურთიერთგავლენების პრობლემებს.

**“Caring for ‘National Treasure’: Political Agency of Heritage objects in the Caucasian Highlands**

- **მონაწილეები:** ნუცა ბათიაშვილი
- **ვადები:** 2022-2023
- **ბიუჯეტი:** 20000$
- **დონორი ორგანიზაცია:** Wenner Gren Foundation
- **მოკლე ანოტაცია:** კვლევითი გრანტი აფინანსებს საველე სამუშაოებს სვანთის და თბილისი მასშტაბით

**ხედვა 2023-2025:**

თავისუფალი უნივერსიტეტის ხედვაა გააგრძელოს კვლევითი საქმიანობის ინსტიტუციონალიზაცია და ხელი შეუწყოს სამეცნიერო პროექტებს.

## 38. სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი

თავისუფალი უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლა 2014 წლიდან ფუნქციონირებს. სკოლის მისია სამეცნიერო კვლევების წარმოებაა, ამიტომ სადოქტორო პროგრამები შექმნილია თავისუფალ და აგრარულ უნივერსიტეტებში არსებული სკოლებისა და მათი აკადემიური პერსონალის ინტეგრირებული კოლაბორაციის საფუძველზე.

სადოქტორო სკოლის შექმნის იდეაა, ერთ სივრცეში მოიყარონ თავი ახალი თაობის მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა და წვლილი შეიტანონ როგორც თავისი მიმართულების, ისე **ინტერდისციპლინარული** და უნივერსიტეტთაშორისი კვლევების განვითარებაში. სკოლის მიზანია, შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც მომიჯნავე დისციპლინის მეცნიერები ერთობლივად იმუშავებენ სამეცნიერო ცოდნის გაღრმავებისა და გაფართოებისთვის.

სადოქტორო სკოლის კვლევით საქმიანობაში თავისუფალი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გარდა სხვა ქვეყნებში მოღვაწე მეცნიერები და მკვლევარები მონაწილეობენ, რაც იმის წინაპირობაა, რომ თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები (როგორც სამაგისტრო, ასევე სადოქტორო დონეზე) ჩართული არიან გლობალურ სამეცნიერო დისკუსიაში, რის შედეგადაც ხდება როგორც სასწავლო პროცესის, ისე კვლევითი საქმიანობის შედეგად შექმნილი ცოდნის **ინტერნაციონალიზაცია**. ამ მიმართულებით უნივერსიტეტი თანამშრომლობს აშშ-ის რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტთან და გაფორმებული აქვს როგორც თანამშრომლობის მემორანდუმები, ისე ინდივიდუალური ხელშეკრულებები დოქტორანტურაში მოწვეულ ხელმძღვანელებთან.

სადოქტორო სკოლის ძირითადი ფუნქციაა სამეცნიერო კვლევების თანამედროვე რესურსებით უზრუნველყოფა, დოქტორანტების სამეცნიერო საქმიანობის კოორდინირება და მათი თანამედროვე, საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით სივრცეში ინტეგრირება.

თავისუფალი უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლა **ანიჭებს მაგისტრის და დოქტორის ხარისხს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებსა** და **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.**

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები მჭიდროდ თანამშრომლობენ თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის და ბიზნეს სკოლის სამაგისტრო პროგრამებთან, რათა მაგისტრანტებს და დოქტორანტებს შეექმნათ სათანადო აკადემიური გარემო ინტერდისციპლინარული კვლევების განსახორციელებლად.

**ხედვა 2022-2024:**

სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი - 30%

**შეფასების კრიტერიუმი:**

მონაცემები სადოქტორო ნაშრომის შესახებ

**შეფასების მეთოდი:**

სადოქტორო ნაშრომების შეფასების მიზნით მოხდა ინფორმაციის შეგროვება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სადოქტორო დაცვების შესახებ.

სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი მიზანშეწონილია შეფასებულ იქნეს შესაბამის პერიოდში მიღებული სტუდენტების რაოდენობასთან. როგორც პრაქტიკამ აჩვენა სტუდენტებს სადოქტორო პროგრამების დასასრულებლად დაახლოებით 4 წელი სჭირდებათ, შესაბამისად 2021-2022 სასწავლო წლის მანძილზე სადოქტორო დაცვების რაოდენობის 2017-20181 სასწავლო წელს ჩარიცხულთა რაოდენობასთან შეფარდება იქნება მართებული.

**დასკვნა:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი თითქმის 50% შეადგენდა, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ნიშნულს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ორი სადოქტორო დაცვა იყო, რომელთა შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

| # | სახელი გვარი | პროგრამა | დისერტაციის სათაური | მინიჭება |
|---|---|---|---|---|
| 1 | **დავით მარკოზაშვილი** | სადოქტორო პროგრამა სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში | იარაღის კონტროლი - განზრახვები და შედეგები | 28.04.2022 |

ქვემოთ მოყვანილია ბოლო 6 წლის სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხულთა და დაცვათა სტატისტიკა.

| სასწავლო წელი | ჩაირიცხა | ხარისხი მიენიჭა |
|---|---|---|
| 2016-2017 | 4 | 1 |
| 2017-2018 | 2 | 0 |
| 2018-2019 | 4 | 2 |
| 2019-2020 | 3 | 0 |
| 2020-2021 | 2 | 2 |
| 2021-2022 | 4 | 1 |

**ხედვა 2023-2025:**

თავისუფალი უნივერსიტეტის ხედვაა სადოქტორო დაცვის მაჩვენებელმა შეადგინოს დაახლოებით 30% შესაბამის წელს (4 წლით ადრე) ჩაბარებულთა რაოდენობასთან მიმართებაში.

## 39. კვლევითი/სახელოვნებო, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობის თანაფარდობა უსდ-ს მთლიანი ბიუჯეტთან

თავისუფალი უნივერსიტეტი ახორციელებს მეცნიერებისათვის კვლევითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას, კონკურენტული უპირატესობების მოპოვებასა და შესაბამისი გარემოს შექმნას, რათა მკვლევარს საშუალება მიეცეს, შექმნას ახალი ცოდნა, დანერგოს და პრაქტიკაში გადაიტანოს.

კვლევითი საქმიანობის გაძლიერების ერთ-ერთ მექანიზმს აკადემიური პერსონალის ანაზღაურებაში სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის განკუთვნილი კომპონენტის ჩართვა წარმოადგენს.

უნივერსიტეტის მიზანია კვლევითი/სახელოვნებო, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობის თანაფარდობა უსდ-ს მთლიანი ბიუჯეტთან მინიმუმ 10%-ს შეადგენდეს, რათა მოხდეს კვლევითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა.

**ხედვა 2022-2024:**

კვლევითი/სახელოვნებო, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობის თანაფარდობა უსდ-ს მთლიანი ბიუჯეტთან მინიმუმ 10%

**შეფასების კრიტერიუმი:**

ფაქტობრივი მონაცემები

**შეფასება:**

შეფასების მიზნით, მოხდა ინფორმაციის შეგროვება, როგორც გრანტების შესახებ, ისე უნივერსიტეტის კვლევითი/სახელოვნებო, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობისთვის გამოყოფილი თანხისა და მთლიანი ბიუჯეტის შესახებ. შემდეგ მოხდა ამ ინფორმაციის დამუშავება და თანაფარდობების გამოყვანა.

**დასკვნა:**

ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უნივერსიტეტის მიერ კვლევით საქმიანობაზე გაწეული ხარჯების თანაფარდობა უნივერსიტეტის მთლიან ბიუჯეტთან 14%-ს შეადგენდა.

**ხედვა 2023-2025:**

თავისუფალი უნივერსიტეტის ხედვაა მომდევნო წლებშიც გააგრძელოს და გააძლიეროს კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმების განხორციელება. უნივერსიტეტის მიზანია კვლევითი/სახელოვნებო, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობის თანაფარდობა უსდ-ს მთლიანი ბიუჯეტთან მინიმუმ 10%-ს შეადგენდეს.

## 40. საგამომცემლო საქმიანობა

თავისუფალი უნივერსიტეტის გამომცემლობის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის საქმიანობის წარმატებით წარმართვას და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

გამომცემლობა უზრუნველყოფს სასწავლო, სამეცნიერო, კვლევითი, მხატვრული, სხვადასხვა შემეცნებითი და მარკეტინგული პროექტის განხორციელებას, რაც მოიცავს:

- სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალების თარგმნას
- მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნასა და გამოცემას
- საგამომცემლო მიმართულებით გრანტების მოზიდვის სამუშაოებს
- უნივერსიტეტის მარკეტინგული მიზნებისათვის საჭირო ელექტრონული და ბეჭდვითი მასალის შექმნისა და დაბეჭდვა/ინსტალაციის პროცესებს

**ხედვა 2022-2024:**

წელიწადში მინიმუმ ორი წიგნის გამოქვეყნება

**შეფასების კრიტერიუმი:**

ფაქტობრივი მონაცემები

**შეფასების მეთოდი:**

საანგარიშო პერიოდისთვის საგამომცემლო საქმიანობის შეფასების მიზნით განხორციელდა მონაცემების მოძიება უნივერსიტეტის თაოსნობით გამოცემული წიგნების შესახებ.

**დასკვნა:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტის გამომცემლობის თაოსნობით 5 წიგნი გამოიცა სხვადასხვა თემატიკაზე.

- **მონაცემთა ანალიზი** - გიორგი მაჭარაშვილი. შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა, 2022 წ.

- **The Arabic Dialects in Central Asia: Qashqa-Darya and Bukhara Dialects** - გურამ ჩიქოვანი. შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა, 2022 წ.

- **ვენახი და გარემო** - თენგიზ  ურუშაძე, გურამ ალექსიძე, ამირან თხელიძე, ელინა ბაქრაძე.  შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა, 2021 წ.

- **ვერხვი: ბიოეკოლოგია, ტაქსონომია და ჰაბიტატები/Populus spp. Bioecology, Taxonomy and Habitats** - ნანი გოგინაშვილი, გიორგი ქავთარაძე, მარგალიტა ბაჩილავა. შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა, 2021 წ.

- **იაპონური ენა ყველას, დაწყებითი დონე I** - იაპონიის ფონდი, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა, 2021 წ

ხედვა 2023-2025:

თავისუფალი უნივერსიტეტის გამომცემლობის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის საქმიანობის წარმატებით წარმართვას და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.  თავისუფალი უნივერსიტეტის ხედვაა მომავალში წელიწადში მინიმუმ 2 წიგნი გამოიცეს უნივერსიტეტის თაოსნობით.

## 41. საგამომცემლო საქმიანობა

თავისუფალი უნივერსიტეტის გამომცემლობის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის საქმიანობის წარმატებით წარმართვას და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

გამომცემლობა უზრუნველყოფს სასწავლო, სამეცნიერო, კვლევითი, მხატვრული, სხვადასხვა შემეცნებითი და მარკეტინგული პროექტის განხორციელებას, რაც მოიცავს:

- სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალების თარგმნას
- მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნასა და გამოცემას
- საგამომცემლო მიმართულებით გრანტების მოზიდვის სამუშაოებს
- უნივერსიტეტის მარკეტინგული მიზნებისათვის საჭირო ელექტრონული და ბეჭდვითი მასალის შექმნისა და დაბეჭდვა/ინსტალაციის პროცესებს

**ხედვა 2022-2024:**

ელექტრონული გამოცემების განვითარება

**შეფასების კრიტერიუმი:**

ფაქტობრივი მონაცემები

**შეფასების მეთოდი:**

საანგარიშო პერიოდისთვის ელექტრონული გამოცემების მიმართულებით საგამომცემლო საქმიანობის შეფასების მიზნით განხორციელდა შესაბამისი ინფორმაციის მოძიება.

**დასკვნა:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა თავისუფალი უნივერსიტეტის ელექტრონული ჟურნალი, Free University Journal of Asian Studies-ის მესამე ნომრის გამოცემა. ჟურნალი განთავსებულია ონლაინ *http://journals.org.ge* პლატფორმაზე, რომელზე ასევე გამოიცემა აგრარული უნივერსიტეტის Annals of Agrarian Science ჟურნალი.

**ხედვა 2023-2025:**

ელექტრონული გამოცემები ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა თავისუფალი უნივერსიტეტის საგამამომცემლო სამსახურისთვის.

უნივერსიტეტის მიზანია, მომდევნო წლებში აქტიურად გაგრძელდეს მუშაობა ელექტრონული გამოცემების განვითარების მიმართულებით.

## საზოგადოებასთან ურთიერთობა

### 42. ტექნიკური უზრუნველყოფა

უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი მიზანია შიდა და გარე კომუნიკაციის პროცესების წარმართვა. გამოიყენება ინფორმაციის გავრცელების რამდენიმე ინსტრუმენტი, როგორიცაა Facebook, ვებ-გვერდი, Youtube, ელექტრონული ფოსტა, Facebook Workplace, ტრადიციული მედია.

ასევე მნიშვნელოვანია უშუალო კომუნიკაცია, რომელსაც უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა აქტივობების საშუალებით, როგორიცაა პრეზენტაციები საშუალო სკოლებში, ღია კარის დღეები და სხვა.

**ხედვა 2022-2024:**

სპეციალური აპლიკაციის დანერგვა სმარტფონებისთვის

**შეფასების კრიტერიუმები:**

აპლიკაციის გაშვება

**შეფასების მეთოდი:**

თავისუფალი უნივერსიტეტის სპეციალური აპლიკაციის დანერგვის კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასების მიზნით მოხდა სამუშაო ჯგუფთან შეხვედრა და ინფორმაციის მიღება.

**დასკვნა:**

თავისუფალი უნივერსიტეტი გეგმავდა სპეციალური აპლიკაციის დანერგვას სმარტფონებისთვის, რომლის გამოყენება ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლებოდა.

საანგარიშო პერიოდისთვის აპლიკაციის შინაარსობრივი ნაწილი უკვე მომზადებული იყო თუმცა მოხდა ამ საკითხის კიდევ ერთხელ გადახედვა. ტენდენციები ცხადყოფს, რომ საინფორმაციო ხასიათის მობილური აპლიკაციების გამოყენება ძალიან შემცირებულია, რის გამოც უნივერსიტეტი აღარ გეგმავს სმარტფონებისთვის სპეციალური აპლიკაციის დანერგვას. ნაცვლად უნივერსიტეტმა მუშაობა მობილურ მოწყობილობებზე მორგებული საუნივერსიტეტო ვებ-გვერდზე და შესაბამის ვებ-აპლიკაციაზე დაიწყო, რომელიც შეითავსებს მობილური აპლიკაციის ფუნქციას.

ამ განახლების ფარგლებში სრულად მოხდება არსებული ვებ-გვერდის ტექნიკური, სტრუქტურული და ფუნქციური განახლება. ამჟამად მიმდინარეობს ვებ-აპლიკაციის ტექნიკური დავალების შედგენა.

**ხედვა 2023-2025:**

საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაცია მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებისა და სწორი ინფორმაციის გავრცელების კუთხით. უნივერსიტეტი ამისათვის სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებას იყენებს, როგორც დისტანციურად ისე უშუალო შეხვედრებისა პრეზენტაციების სახით.

უნივერსიტეტის ხედვაა უახლოეს მომავალში უნივერსიტეტის ვებ-გვერდი გახდეს მობილურ მოწყობილობებზე მორგებული. ეს გაუადვილებს მომხმარებლებს სათანადო ინფორმაციის ყველგან და სწრაფად მიღებას.

## 43. ვებ-გვერდი

უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი მიზანია შიდა და გარე კომუნიკაციის პროცესების წარმართვა. გამოიყენება ინფორმაციის გავრცელების რამდენიმე ინსტრუმენტი, როგორიცაა Facebook, ვებ-გვერდი, Youtube, ელექტრონული ფოსტა, Facebook Workplace, ტრადიციული მედია, უშუალო კომუნიკაცია.

თავისუფალი უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. იმისათვის, რომ უცხოელმა მომხმარებლებმაც ამომწურავი ინფორმაციის მიღება შეძლონ, საჭირო იყო ინგლისურენოვანი ვებ-გვერდის განახლება.

**ხედვა 2022-2024:**

ინგლისურენოვანი ვებ-გვერდის დახვეწა

**შეფასების კრიტერიუმი:**

თვისებრივი შეფასება

**შეფასების მეთოდი:**

ინგლისურენოვანი ვებ-გვერდის დახვეწის კუთხით ჩატარებული სამუშაოების ჩატარების შეფასების მიზნით მოხდა ვებ-გვერდის გადახედვა და ანალიზი.

**დასკვნა:**

თავისუფალმა უნივერსიტეტმა სამოქმედო გეგმის შესაბამისად მოახდინა ინგლისურენოვანი ვებ-გვერდის დახვეწა.

უნივერსიტეტმა დაიწყო მუშაობა მობილურ მოწყობილობებზე მორგებული საუნივერსიტეტო ვებ-გვერდზე და შესაბამის ვებ-აპლიკაციაზე, რომელიც შეითავსებს მობილური აპლიკაციის ფუნქციას.

ამ განახლების ფარგლებში სრულად მოხდება არსებული ვებ გვერდის ტექნიკური, სტრუქტურული და ფუნქციური განახლება. ამჟამად მიმდინარეობს ვებ-აპლიკაციის ტექნიკური დავალების შედგენა.

**ხედვა 2023-2025:**

თავისუფალი უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. უნივერსიტეტისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ უცხოელმა მომხმარებლებმაც ამომწურავი ინფორმაციის მიღება შეძლონ. თავისუფალი უნივერსიტეტის ხედვაა მომდევნო წლებში მუდმივ რეჟიმში მოახდინოს ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსიის განახლება.

უნივერსიტეტი ასევე გეგმავს, უნივერსიტეტის ვებ-გვერდი გახდეს მობილურ მოწყობილობებზე მორგებული. ეს გაუადვილებს მომხმარებლებს სათანადო ინფორმაციის ყველგან და სწრაფად მიიღოს.

## 44. სოციალური მედია

თავისუფალი უნივერსიტეტი რეგულარულად იყენებს სოციალურ მედიას სხვადასხვა ინფორმაციის გავრცელების მიზნით. წლიდან წლამდე იზრდება ინტერნეტ-გვერდებზე გამომწერთა რაოდენობა.

**ხედვა 2022-2024:**

სოციალურ ქსელებზე გამოწერების რაოდენობის მინ.5%-ით გაზრდა

**შეფასების კრიტერიუმი:**

სტატისტიკა

**შეფასების მეთოდი:**

სოციალური მედიის განვითარების შეფასების მიზნით მოხდა გამომწერთა სტატისტიკური მონაცემების შეგროვება.

**დასკვნა:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უნივერსიტეტის Facebook გვერდებზე მომხმარებელთა რაოდენობა (ფოლოვერები) 32%-ით გაიზარდა და ამჟამად 178 000-ს შეადგენს. გასული პერიოდისთვის მომხარებელთა ჯამური რაოდენობა 135 000 იყო.

**ხედვა 2023-2025:**

უნივერსიტეტის ხედვაა საერთო გამომწერთა რაოდენობა წელიწადში დაახლოებით 5%-ით გაიზარდოს მომდევნო წლების განმავლობაში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტი აქტიურად გააგრძელებს მისი სოციალური გვერდების მართვას და მათზე აქტუალური და საინტერესო ინფორმაციის განთავსებას.

## 45. ღონისძიებები

თავისუფალი უნივერსიტეტის ღონისძიებების ჯგუფის მიზანია სხვადასხვა შემეცნებითი, სამეცნიერო და კულტურული პროექტების განხორციელება მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ღონისძიებების ჯგუფი ორგანიზებას უწევს თავისუფალ უნივერსიტეტში სტუდენტების, თანამშრომლებისა და დაინტერესებული პირებისათვის საჯარო და დახურული ღონისძიებების - საჯარო ლექციების, სემინარების, თემატური ფესტივალების, ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, შემეცნებითი კონკურსების, საჯარო დისკუსიების, წიგნის წარდგენების, სიმპოზიუმების, ჰაკათონების, კვლევის შედეგების წარდგინებების, სტუდენტური ექსპედიციების, ზამთრისა და ზაფხულის სკოლების, გაცნობითი პროგრამების, შემეცნებითი ტურების და ა.შ ჩატარებას.

**ხედვა 2022-2024:**

მინიმუმ 35 ღონისძიების ჩატარება

**შეფასების კრიტერიუმი:**

ფაქტობრივი მონაცემები

**შეფასების მეთოდი:**

ღონისძიების კუთხით გეგმის შესრულების შეფასების მიზნით მოხდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება.

**დასკვნა:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 50-ზე მეტი ღონისძიება ჩატარდა. თავისუფალ უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდებოდა საჯარო ლექციები, კონფერენციები, ფესტივალები, პრეზენტაციები, ღია კარის დღეები და სხვა სახის ღონისძიებები. უნდა აღინიშნოს, რომ ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, მათი ნაწილი დისტანციურ რეჟიმში იმართებოდა.

**ხედვა 2023-2025:**

სტუდენტური ცხოვრებისა მრავალფეროვნების გაზრდისა  და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის ღონისძიებების რეგულარულად ორგანიზება. თავისუფალი უნივერსიტეტის მიზანია ყოველწლიურად დაახლოებით 35 ღონისძიების ჩატარება

## 46. სასერტიფიკატო პროგრამები

პროფესიული განვითარების პროგრამები არის მოკლევადიანი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ეხმარება მსმენელს, მცირე დროში პრაქტიკაში გამოსაყენებელი ცოდნა მიიღოს.

თავისუფალ უნივერსიტეტში პროფესიული განვითარების პროგრამებზე სწავლა 2007 წლიდან მიმდინარეობს. პროფესიულ პროგრამებს არ აქვთ კრედიტები და მათი გავლის შემდეგ მსმენელს არ მიენიჭება აკადემიური ხარისხი.

პროგრამები განკუთვნილია მათთვის, ვისაც ცოდნის შეძენა ან/და გაღრმავება სურს ბიზნესის, ფინანსების, მენეჯმენტის, მარკეტინგის, საჯარო მმართველობის და სხვა მიმართულებებით.

**ხედვა 2022-2024:**

წელიწადში 14 ნაკადზე მეტი და 400 მონაწილეზე მეტის მიღება

**შეფასების კრიტერიუმი:**

ფაქტობრივი მონაცემები

**შეფასების მეთოდი:**

შეფასების მიზნით მოხდა პროფესიული პროგრამების შესახებ მონაცემების შეგროვება.

**დასკვნა:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროფესიულ პროგრამებზე მოხდა 20-მდე ნაკადის და 300-მდე მონაწილის მიღება. ქვემოთ მოყვანილია თითოეული პროგრამისთვის ჯგუფებისა და მონაწილეების შესახებ ინფორმაცია.

CBA59 – 28 მსმენელი (online)
CBA60 – 28 მსმენელი

CFM33 – 30 მსმენელი (online)
CFM34 – 29 მსმენელი (online)
CFM35 – 18 მსმენელი

CMM13 – 25 მსმენელი (online)
CMM14 – 16 მსმენელი

კონფუცის ინსტიტუტი 10 ჯგუფი - 88 მსმენელი (online)

აღმოსავლური ენების პროგრამა:

- კორეული - 27 მსმენელი
- იაპონური - 2 მსმენელი
- არაბული - 8 მსმენელი

MAST სასერტიფიკატო პროგრამა

Miami Ad School Tbilisi (MAST) და თავისუფალი უნივერსიტეტი, TBC-თან პარტნიორობით, საინტერესებულ პირებს საერთაშორისო პროგრამებს არტ-დაირექშენსა და ქოფირაითინგში სთავაზობს.

Miami Ad School სარეკლამო ინდუსტრიისთვის მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი სკოლაა. MAST საერთაშორისო ქსელის ახალი, სრულფასოვანი წევრია და სტუდენტები ისარგებლებენ იმ გლობალური ეკო-სისტემით, რომელსაც ეს სკოლა სთავაზობს მომხმარებლებს.

MAST სტუდენტებს სთავაზობს ორ პორტფოლიო-პროგრამას: არტ დაირექშენი და ქოფირაითინგი. მიღებულ იქნა 15-მდე სტუდენტი, რომლებმაც სწავლა 2020 წლის შემოდგომაზე დაიწყეს.

ორწლიანი საერთაშორისო სასერტიფიკატო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები ერთ წელს კახა ბენდუქიძის კამპუსში ატარებენ ხოლო მომდევნო წელს კი Miami Ad School-ის ქსელის სხვა სკოლებსა თუ მსოფლიოს წამყვან სარეკლამო სააგენტოებში.

ხედვა 2023-2025:

უნივერსიტეტის ხედვაა პროფესიული პროგრამების ეფექტური მიწოდება მომავალშიც გაგრძელდეს და შესაბამისად წელიწადში 14 ნაკადზე მეტი და 400 მონაწილეზე მეტის მიღება განხორციელდეს.

# ინფრასტრუქტურა

**ზოგადი მიმოხილვა**

თავისუფალი უნივერსიტეტი მოიცავს 70-ზე მეტ ადამიანზე გათვლილ 17 აუდიტორიას, მათ შორის, სამ ამფითეატრს, რომელთაგან ერთი აღჭურვილია ტელეპრეზენსის მოწყობილობით.

უნივერსიტეტი ასევე მოიცავს 30-40 ადამიანზე გათვლილ 48 აუდიტორიას და 15-30 ადამიანზე გათვლილ 60-ზე მეტ აუდიტორიას.

უნივერსიტეტს ასევე გააჩნია ერთი საკონფერენციო ოთახი.

უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სტუდენტებისთვის მოწყობილია კომპიუტერებით აღჭურვილი სამუშაო სივრცეები.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი განთავსებულია ღია სივრცის ტიპის სამუშაო ადგილზე. მოწვეული ლექტორებისთვის გამოყოფილია სამუშაო ადგილები. უნივერსიტეტში არის მხოლოდ ოთხი კაბინეტი, განკუთვნილი რექტორისათვის, პრორექტორებისათვის და კანცლერისათვის. ამ კაბინეტების ჯამური ფართი 60 კვ.მ-ს შეადგენს.

თავისუფალი უნივერსიტეტის არც ერთ თანამშრომელს არ ემსახურება ავტომობილი. უნივერსიტეტს გააჩნია ორი მორიგე ავტომობილი, რომელთა გამოყენება ნებისმიერ თანამშრომელს შეუძლია უნივერსიტეტის საკითხებთან დაკავშირებით.

კამპუსის ინფრასტრუქტურა მოიცავს შემდეგ ობიექტებს:

**ბიბლიოთეკა**

თავისუფალი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე ლიტერატურით და შექმნილია სწავლისათვის შესაფერისი გარემო.

**სპორტული დარბაზი**

თავისუფალ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სპორტული დარბაზი, რომელიც უფასოა ყველა სტუდენტისათვის. იგი შეიქმნა სტუდენტებში ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით.

**კულტურის ცენტრი**

იგი წარმოადგენს თეატრის ტიპის დარბაზს და სტუდენტებს აძლევს შემოქმედებითი და თეატრალური ნიჭის რეალიზაციის საშუალებას.

**კაფეტერია**

თავისუფალ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კაფეტერია, რომელშიც განთავსებულია სხვადასხვა დამოუკიდებელი კვების ობიექტი. ამგვარი მოწყობა

უზრუნველყოფს პროვაიდერებს შორის კონკურენციას, რის შედეგადაც სტუდენტებს მიეწოდებათ მრავალფეროვანი არჩევანი და მისაღები ფასები.

**საგამოცდო ცენტრი**

თავისუფალმა უნივერსიტეტმა განაახლა საგამოცდო ცენტრი, რომელიც ამჟამად 305 სტუდენტზეა გათვლილი. საგამოცდო ცენტრში სისტემურად შემცირებულია გადაწერისა და წყაროებით სარგებლობის რისკი, შეზღუდულია ინტერნეტზე წვდომა, თუ ეს არ არის ცენტრის მიერ დაშვებული. საგამოცდო ცენტრში ასევე დახშულია მობილური კავშირი. ცენტრში დამონტაჟებულია მაღალი გარჩევადობის ვიდეო დაკვირვების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა საგამოცდო ადგილის მონიტორინგს. ყოველივე ეს მინიმუმამდე ამცირებს პლაგიატისა და აკადემიური თაღლითობის რისკს.

**თანამედროვე პარკინგი**

კამპუსის ტერიტორიაზე განლაგებულია თანამედროვე პარკინგი. გზებზე მოწყობილია სიჩქარის შემზღუდავები (ე.წ. "დაწოლილი პოლიციელი"), მონიშნულია სპეციალური გადასასვლელები, ტერიტორიაზე განთავსებულია სიჩქარის შემზღუდავი საგზაო ნიშნები, რაც ქვეითთა გადაადგილებას უსაფრთხოს ქმნის. სპეციალური საპარკინგე ადგილია მოწყობილი ელექტრო მანქანებისათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის.

**უსაფრთხოება**

უსაფრთხოების დაცვის მიზნით კამპუსის ტერიტორია აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, დამონტაჟებულია უსაფრთხოების სპეციალური სისტემები - ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემა, ცეცხლმაქრი ფხვნილოვანი ბალონები, საევაკუაციო გეგმები.

კამპუსის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, სადაც ხორციელდება ექიმ-თერაპევტის სამედიცინო დახმარება.

**სარეკრეაციო ზონები**

კამპუსის ტერიტორიაზე მოწყობილია სპეციალური სარეკრეაციო ზონები, რომლებიც შემოღობილია და დაცულია ავტომობილებისაგან.

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე გათვლილი ინფრასტრუქტურა**

უნივერსიტეტის შენობა სრულადაა ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. შენობის ყველა სართულზე ფუნქციონირებს შშმ პირთათვის ადაპტირებული საპირფარეშო. შენობის ყველა შემოსასვლელს აქვს პანდუსი. შენობაში განთავსებულია 3 სამგზავრო ლიფტი, რაც შშმ პირებს

საშუალებას აძლევს, გადაადგილდნენ სართულებს შორის. შენობაში დამონტაჟებული ყველა კარი ადაპტირებულია შშმ პირთათვის. მათთვის ავტოსადგომებზე გამოყოფილია პარკირების სპეციალური ადგილები.

**ბაზალეთის ტრენინგ-ცენტრი**

თავისუფალი უნივერსიტეტი სარგებლობს ბაზალეთის ტრენინგ ცენტრით, რომელშიც განლაგებულია სასტუმრო ოთახები 100 ადამიანისათვის. ცენტრს აქვს დიდი საკონფერენციო დარბაზი, ოთხი მცირე ზომის აუდიტორია და 25 კაციანი კომპიუტერული კლასი. მის ტერიტორიაზე ასევე განვითარებულია სპორტული ინფრასტრუქტურა.

ტრენინგ-ცენტრის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტი რეგულარულად ახდენს ინვესტირებას და სხვადასხვა სახის განახლებით სამუშაოებს აწარმოებს ტრენინგ-ცენტრის ტერიტორიაზე.

თავისუფალი უნივერსიტეტი აღნიშნულ ცენტრს აქტიურად იყენებს სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებისა და სტუდენტების ცნობიერების ამაღლების მიზნით; ბაზალეთის ტრენინგ ცენტრში ხშირად ტარდება საზაფხულო და ზამთრის სკოლები, კონფერენციები სხვადასხვა თემაზე და სხვა ღონისძიებები.

**განახლებადი ელექტრო-ენერგია**

თავისუფალ უნივერსიტეტსა და ლიტვურ კომპანია UAB Nogridas-ს შორის 2017 წელს გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი კამპუსის ტერიტორიაზე 120 კვტ სიმძლავრის მზის ენერგიის პანელების განლაგებასთან დაკავშირებით. 2019 წელს დასრულდა მზის პანელების ელექტრო სადგურის მოწყობა და უნივერსიტეტმა დაიწყო პანელების მეშვეობით გენერირებული ელექტრო-ენერგიის მოხმარება.

შემდგომ პერიოდში უნივერსიტეტმა 336 კილოვატ მზის ენერგიის ელექტრო სადგურის დამატება განახორციელა, რაშიც 561 000 ლარის ინვესტიცია ჩაიდო. ამჟამად უნივერსიტეტს 456 კილოვატიანი მზის ენერგიის სადგური გააჩნია. შედეგად, პანელების მეშვეობით გენერირებული ელექტრო-ენერგია უნივერსიტეტის მიერ მოხმარებული ენერგიის 35%-40%-ს ჩაანაცვლებს, რაც გაზრდის ენერგოეფექტურობას და შეამცირებს დანახარჯებს.

## 47. კონდიცირების სისტემების გამოცვლა

**ხედვა 2022-2024:**

მე-4 სართულებზე კონდიცირების სისტემების გამოცვლა

**შეფასების კრიტერიუმი:**

შესრულებული სამუშაო

**შეფასების მეთოდი:**

შეფასების მიზნით, მოხდა შესაბამის სამუშაო ჯგუფთან შეხვედრა და ჩატარებული სამუშაოს ადგილზე შეფასება.

**დასკვნა:**

საანგარიშო პერიოდში სრულად შეიცვალა კონდიცირების და ვენტილაციის სისტემა მე-4 სართულზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მისი გამოცვლა მე-3 სართულზე. მიმდინარე სამუშაოები სექტემბრამდე, სწავლის დაწყებამდე დასრულდება. კონდიცირების და ვენტილაციის სისტემის გამოცვლის ხარჯმა 690 092 შეადგინა.

## 48. მე-200 აუდიტორიის სრული რეაბილიტაცია

**ხედვა 2022-2024:**

მე-200 აუდიტორიის სრული რეაბილიტაცია

**შეფასების კრიტერიუმი:**

შესრულებული სამუშაო

**შეფასების მეთოდი:**

აღნიშნული ამოცანის შეფასების მიზნით, მოხდა შესაბამის სამუშაო ჯგუფთან შეხვედრა.

**დასკვნა:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სრულად განახლდა უნივერსიტეტის მე-200 აუდიტორია, რომლის განლაგება ამფითეატრის სტილში გადაწყდა და შედეგად 200-ზე მეტი მსმენელის დატევა შეუძლია. აუდიტორიაში განხორციელდა სრული რემონტი, ვენტილაციისა და კონდიცირების სისტემის გამოცვლა, განათების განახლება და ახალი ვიტრაჟების ჩასმა. რემონტის გარდა განახლდა ინვენტარი - დაიდგა კომფორტული სავარძლები და დაიკიდა მზის შუქის დამხშობი ფარდა-ჟალუზი. მე-200 აუდიტორიის განახლება ჯამში 373 790 დაჯდა.

### 49. B კორპუსის ფასადების განახლება

**ხედვა 2022-2024:**

B კორპუსის ფასადების განახლება

**შეფასების კრიტერიუმი:**

შესრულებული სამუშაო

**შეფასება:**

შეფასების მიზნით, მოხდა შესაბამის სამუშაო ჯგუფთან შეხვედრა და ჩატარებული სამუშაოს ადგილზე შეფასება.

**დასკვნა:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა B კორპუსის ფასადების და შიდა ეზოების განახლება. შეიცვალა ფასადები - ჩამოიშალა ზედაპირი და ახლად გაილესა და შეიღება.

ამავე პერიოდში სრულად მოპირკეთდა B კორპუსის მიმდებარე შიდა ეზოები. შეიცვალა საფარი, განხორციელდა სივრცის გამწვანება და მოეწყო რეკრეაციული ზონები. სულ სამი ეზოს განახლება მოხდა, თითო ეზო 540 კვადრატი ზომისაა. ჯამურმა ინვესტიციამ 658 253 შეადგინა .

**სხვა შესრულებული სამუშაოები ინფრასტრუქტურის კუთხით, რაც სამოქმედო გეგმით არ იყო გათვალისწინებული:**

**საგამოცდო ცენტრის განახლება**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საგამოცდო სივრცის სრული განახლება განხორციელდა. ძველ საგამოცდო ფართს, რომელიც 400 კვადრატს შეადგენდა, 500 კვადრატული მეტრი დაემატა და ჯამში 900 შეადგინა. სრულად შეიცვალა კონდიცირების და ვენტილაციის სისტემა და განახლდა ინვენტარი. საგამოცდო ცენტრში მოეწყო სასერვერო ოთახი სადაც განლაგდა ქსელური და ვიდეო დაკვირვების ჩამწერი აპარატურა.

შედეგად, ახალი საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს აკადემიური თაღლითობის და პლაგიატის მინიმუმამდე დაყვანას რადგან:

- სტუდენტებს შორის დაშორება 1.8 მეტრს შეადგენს. ძველი საგამოცდო სივრცე, რომელიც ბევრად მცირე ზომის იყო (400 კვ.მ) 200 სტუდენტი თავსდებოდა, მაშინ როცა ახალი საგამოცდო სივრცე ორჯერ დიდია (900 კვ.მ) და იგი მხოლოდ 305 სტუდენტზეა გათვლილი.
- საგამოცდო ცენტრი აღიჭურვა მაღალი გარჩევადობის ვიდეო დაკვირვების კამერებით, რომლებიც სრულად უზრუნველყოფს ყველა საგამოცდო ადგილის მონიტორინგს. ხორციელდება ვიდეოჩაწერა და ერთი თვით ჩანაწერის შენახვა. ჯამში 70 კამერაა დამონტაჟებული.

გამოცდების მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება საგამოცდო ცენტრის თანამშრომლების მიერ. სტუდენტის ნებისმიერ არასათანადო ქმედებაზე საგამოცდო ცენტრის თანამშრომელი

ახალი საგამოცდო ცენტრის განახლებასთან დაკავშირებით გაწეულმა ჯამურმა ინვესტიციამ 1 268 433 ლარი შეადგინა.

**ახალი კომპიუტერული კლასის მოწყობა** საანგარიშო პერიოდში, სწავლის აუდიტორულ რეჟიმზე დაბრუნებასთან ერთად, მოეწყო ახალი კომპიუტერული აუდიტორია CAD-B1, რომელიც აღჭურვილია მაღალი წარმადობის AllInOne ტიპის 25 კომპიუტერით. კომპიუტერული კლასის რემონტი და კომპიუტერების შეძენა ჯამში დაახლოებით 37 000 აშშ დოლარი დაჯდა.

**ძირითადი შესასვლელი კარებების რეაბილიტაცია.** საანგარიშო პერიოდში ასევე მოხდა ცენტრალური შესასვლელის და სარეკრეაციო ზონებში გასასვლელების რეაბილიტაცია. ამ მიმართულებით ჯამურმა ხარჯებმა დაახლოებით 137 958 შეადგინა.

**დამატებითი დიზელ-გენერატორი.** უწყვეტი ელექტროენერგიის მიწოდების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტმა დამატებით 90 კილოვატიანი სიმძლავრის დიზელ გენერატორი შეიძინა, რომლის ღირებულება 40 000 ლარს შეადგენდა.

**სახურავის რეაბილიტაცია.** კამპუსის ტერიტორიაზე ამჟამად მიმდინარეობს სახურავი 6000 კვ.მ. ფართზე სახურავის რბილი გადახურვის სრულ გამოცვლა. აღნიშნული სამუშაოების თანხა დაახლოებით 124 122 არის გათვლილი.

## ხედვა 2023-2025 ინფრასტრუქტურის კუთხით

- კონდიცირების და ვენტილაციის სისტემის რეაბილიტაცია მე-2 სართულზე
- რბილი გადახურვის სრულად დასრულება. ამჟამად ხორციელდება 6000 კვ.მ. ფართობზე რბილი გადახურვის განახლება, რის შემდეგაც დარჩენილი ფართი 5000 კვ.მ. შეადგენს.
- ადმინისტრაციის შენობის მიმდებარედ 1700 კვ.მ. ფართობის რეაბილიტაცია.
- საგამოცდო ცენტრის 305 თხელი კლიენტების ახლით ჩანაცვლება. ამისათვის შესყიდვები ეტაპობრივად განხორციელდება.

## 50. საინფორმაციო რესურსი

თავისუფალი უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მთავარი ამოცანაა, უზრუნველყოს:

- კრიტიკული ელექტრონული სერვისებით სტუდენტები და ლექტორები სალექციო და არასალექციო საათებში, კურიკულარული, თუ ექსტრაკურიკულარული აქტივობების დროს;
- სასწავლო და აკადემიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სტუდენტებისა და ლექტორებისათვის სალექციო და არასალექციო საათებში, კურიკულარული, თუ ექსტრაკურიკულარული აქტივობების დროს;
- აკადემიური და სამეცნიერო პროცესის ტექნოლოგიური მხარდაჭერა;
- ადმინისტრაციული, აკადემიური და სამეცნიერო პროცესისათვის საჭირო კომუნიკაცია;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მართვისათვის საჭირო შესაბამისი ტექნოლოგიური მხარდაჭერით.

**ხედვა 2022-2024:**

შესწავლილ იქნეს პლაგიატთან ბრძოლის თანამედროვე პროგრამები და მისი ეფექტურობის შემთხვევაში, დაინერგოს უნივერსიტეტში

**შეფასების კრიტერიუმი:**

ფაქტობრივი გარემოება

**შეფასების მეთოდი:**

პლაგიატთან ბრძოლისთვის სპეციალური პროგრამის დანერგვის შესახებ მდგომარეობის შეფასების მიზნით შეხვედრა გაიმართა თავისუფალი უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მენეჯერთან.

**დასკვნა:**

პლაგიატთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა მოახდინა შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი, რის საფუძველზე გამოიკვეთა რომ: არსებული პლაგიატის აღმოჩენის სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფა ვერ ახდენს პლაგიატის ეფექტურ აღმოჩენას, ვინაიდან ამ ეტაპზე ქართულ ენაზე არსებული ბაზა არასათანადოა; გამოცდილებამ აჩვენა, რომ აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შედეგად ხდება ლექტორების მხრიდან ყურადღების მოდუნება და შესაბამისად, პლაგიატის აღმოჩენა სრულად პროგრამაზეა მინდობილი, რომელმაც შესაძლოა მცდარი შეფასება გააკეთოს.

შესაბამისად, უნივერსიტეტი აღარ გეგმავს პლაგიატის აღმოჩენის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვას.

როგორც პრაქტიკამ აჩვენა პლაგიატის თავიდან აცილების ყველაზე ეფექტური გზა გამოცდების უმეტესი ნაწილის წერითი სახით ჩატარებაა მკაცრი დაკვირვების ქვეშ. სწორედ ამ მიზნით თავისუფალმა უნივერსიტეტმა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოახდინა საგამოცდო ცენტრის განახლება - განკუთვნილი ფართი გაორმაგდა, დამონტაჟდა მაღალი გარჩევადობის ვიდეო კამერები და გაძლიერდა მონიტორინგი გამოცდების მსვლელობისას.

შედეგად, ახალი საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს აკადემიური თაღლითობის და პლაგიატის მინიმუმამდე დაყვანას რადგან:

- სტუდენტებს შორის დაშორება 1.8 მეტრს შეადგენს. ძველი საგამოცდო სივრცე, რომელიც ბევრად მცირე ზომის იყო (400 კვ.მ) 200 სტუდენტი თავსდებოდა, მაშინ როცა ახალი საგამოცდო სივრცე ორჯერ დიდია (900 კვ.მ) და იგი მხოლოდ 305 სტუდენტზეა გათვლილი.
- საგამოცდო ცენტრი აღიჭურვა მაღალი გარჩევადობის ვიდეო დაკვირვების კამერებით, რომლებიც სრულად უზრუნველყოფს ყველა საგამოცდო ადგილის მონიტორინგს. ხორციელდება ვიდეოჩაწერა და ერთი თვით ჩანაწერის შენახვა. ჯამში 70 კამერაა დამონტაჟებული.
- გამოცდების მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება საგამოცდო ცენტრის თანამშრომლების მიერ. სტუდენტის ნებისმიერ არასათანადო ქმედებაზე საგამოცდო ცენტრის თანამშრომელი ახდენს შესაბამის რეაგირებას და ხსნის გამოცდიდან.

უნივერსიტეტის მიერ დანერგილი პრაქტიკის და პრევენციული ზომების შედეგად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პლაგიატის არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

**ახალი კომპიუტერული კლასის მოწყობა**. საანგარიშო პერიოდში, სწავლის აუდიტორულ რეჟიმზე დაბრუნებასთან ერთად, მოეწყო ახალი კომპიუტერული აუდიტორია CAD-B1, რომელიც აღჭურვილია მაღალი წარმადობის AllInOne ტიპის 25 კომპიუტერით. კომპიუტერული კლასის რემონტი და კომპიუტერების შეძენა ჯამში დაახლოებით 37 000 აშშ დოლარი დაჯდა.

**ხედვა 2023-2025:**

უნივერსიტეტის ხედვაა კრიტიკული საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების უწყვეტი, შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველყოფა, რათა

შეფერხებების გარეშე მოხდეს უნივერსიტეტის ფუნქციონირება და სასწავლო პროცესის წარმართვა.

## 56. ბიბლიოთეკა

თავისუფალი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიზანია, ხელი შეუწყოს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში. ბიბლიოთეკა უნდა პასუხობდეს სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოწვევებს და შესაბამისად განავითაროს თავისი რესურსები და მომსახურების ხარისხი.

ბიბლიოთეკის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები:

- ბიბლიოთეკის კოლექციების განვითარება
- ელექტრონული კატალოგის დახვეწა
- ელექტრონული სამეცნიერო ბაზების მართვა
- ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურული მოწყობა
- ბიბლიოთეკის პერსონალის პროფესიული ზრდა
- საბიბლიოთეკო სერვისების განვითარება

**ხედვა 2022-2024:**

HeinOnline-ისა და Elsevier-ის ბაზების გამოყენების ხარისხის გაზრდა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში

**შეფასების კრიტერიუმი:**

ბაზების გამოყენების სტატისტიკა

**შეფასება:**

ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენების შეფასების მიზნით მოხდა მონაცემების შეგროვება პერიოდების მიხედვით და მათი ანალიზი.

**დასკვნა:**

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, როგორც კონსორციუმის წევრი ჩართულია განათლების სამინისტროს და რუსთაველის ფონდის პროექტში, რომლის მეშვეობითაც წვდომა აქვს Elsevier-ის სამ სამეცნიერო ელექტრონული ბაზაზე: science direct, Funding Institutional და scopus.

საანგარიშო პერიოდში სტაბილურად ხდებოდა ელექტრონული ბაზების გამოყენება. ამ დროისთვის თვიურად საშუალოდ 450-მდე შედეგების გამოყენების მაჩვენებელია.

რაც შეეხება HeinOnline-ის ბაზას, ძიების მაჩვენებელი საშუალოდ თვიურად 285-ს შეადგენს, ხოლო კონკრეტულ გვერდებზე ვიზიტების რაოდენობა საშუალოდ 88-ს თვეში.

**ხედვა 2023-2025:**

უნივერსიტეტის ხედვაა გაგრძელდეს ბიბლიოთეკის ფონდის გაფართოება, როგორც ელექტრონული ისე ბეჭდური გამოცემების და სამეცნიერო ბაზების გამოყენების ხარისხის გაზრდა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში.

## 57. ბიბლიოთეკა

ელექტრონული კატალოგი ბიბლიოთეკის უმთავრეს სამუშაო ინსტრუმენტს წარმოადგენს. ეს არის საძიებო აპარატი, რომლის გამართულ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს საბიბლიოთეკო რესურსების მოხმარებისა და მართვის პროცესში. კატალოგში აღრიცხული უნდა იყოს ბიბლიოთეკის ფონდში დაცული ყველა ერთეული (წიგნი, პერიოდული გამოცემა, დისერტაცია) სტანდარტების დაცვით.

2017 წლიდან ბიბლიოთეკა გადავიდა ახალ ელექტრონულ, ფუნქციურად გაუმჯობესებულ კატალოგზე, რომელიც სრულად აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს. დღეის მდგომარეობით ახალ კატალოგში შეტანილია ბიბლიოთეკაში დაცული ყველა საბიბლიოთეკო დოკუმენტი.

**ხედვა 2022-2024:**

საბიბლიოთეკო სერვისების შემდგომი განვითარება-დახვეწა: ფონდების შევსება, ელექტრონული სერვისების განვითარება

**შეფასების კრიტერიუმი:**

ფაქტობრივი მონაცემები

**შეფასება:**

შეფასების მიზნით, შეხვედრები გაიმართა ბიბლიოთეკის მენეჯერთან და ასევე მოხდა სტატისტიკური მასალის შეგროვება.

**დასკვნა:**

ბიბლიოთეკა ბოლო წლებში აქტიურად ავითარებს წიგნების ელექტრონულ ფონდს, ეს ხდება ელექტრონული წიგნების მოძიებითა და შეძენის გზით ასევე ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების გაციფრებით. ყოველივე ამის მიზანია, რომ მკითხველი მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი სწავლისა და სამეცნიერო მუშაობისათვის აუცილებელი ელექტრონული მასალებით.

არსებულ პირობებში ბიბლიოთეკა მაქსიმალურად ცდილობს მკითხველების ელექტრონული მომსახურების გაუმჯობესებას, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ურთიერთობას, მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

საანგარიშო პერიოდში თავისუფალი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონული ფონდი შეივსო 103 ელექტრონული წიგნით, სტატიებით, სასწავლო მასალებით.

საგრანტო პროექტებიდან და საჩუქრად ავტორებისგან ბიბლიოთეკას გადაეცა სხვადასხვა თემატიკის წიგნის 61 ეგზემპლარი.

**ხედვა 2023-2025:**

თავისუფალი უნივერსიტეტის ხედვაა მომდევნო წლების განმავლობაში:

- ელექტრონული კატალოგის განვითარება, ხარვეზების აღმოფხვრა, საძიებო პარამეტრების გაუმჯობესება
- ფონდების შევსება სასწავლო პროცესის შესაბამისად, უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულ წიგნებს
- ელექტრონული სერვისების განვითარება.

## 58. ბიუჯეტი

თავისუფალი უნივერსიტეტი წარმოადგენს ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება. უნივერსიტეტის ბიუჯეტი არის პროფიციტული, უნივერსიტეტს შეუძლია საკუთარი შემოსავლებით ხარჯების დაფარვა.

თავისუფალი უნივერსიტეტის ხედვაა, მომავალშიც შენარჩუნდეს ფინანსური სტაბილურობა და დანახარჯთა ძირითადი თანაფარდობები.

**ხევდა 2022-2024:**

დაგეგმილი ბიუჯეტის შესრულება

**შეფასების კრიტერიუმი:**

ბიუჯეტის დაგეგმილთან 2%-იანი ცდომილების ფარგლებში შესრულება

**შეფასება:**

ბიუჯეტის შესრულების შეფასების მიზნით, მოხდა ბიუჯეტისა და ხარჯების ანალიზი.

**დასკვნა:**

ბიუჯეტის შესრულება მოხდა სამოქმედო გეგმის შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის შესრულება 2%-იანი ცდომილების ფარგლებში.

**ხედვა 2023-2025:**

უნივერსიტეტის ხედვაა მომდევნო წლებში ბიუჯეტის შესრულება 2%-იანი ცდომილების ფარგლებში შესრულდეს.

დანართი 1

აკადემიური პერსონალის კვლევითი აქტივობები 01.08.2021 - 22.07.2022 პერიოდის განმავლობაში

*<u>კოგნიტიურ ნეირომეცნიერებათა ინსტიტუტი</u>*
*<u>საერთაშორისო კვლევები/გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები:</u>*

- **კვლევის სახელწოდება:** აღქმა და კოგნიტიურობა ხანდაზმულობისას: ლონგიტუდინალური შესწავლა (ეტაპი III)
- **მონაწილეები:** მარინა კუნჭულია, ხათუნა ფარქოსაძე
- **ვადები:** 2019-2022
- **ბიუჯეტი:** N/A
- **დონორი ორგანიზაცია:** EPFL, ლოზანა, შვეიცარია
- **მოკლე ანოტაცია:** კვლევა ხორციელდება პროფ. ჰერცოგის ჯგუფთან (EPFL, ლოზანა, შვეიცარია) კოლაბორაციული პროექტის ფარგლებში. კვლევის ძირითადი მიზანია ასაკთან დაკავშირებული კოგნიტიური და პერცეპციული ცვლილებების შესწავლა. აღნიშნული კვლევა მოიცავს ხანდაზმული ასაკის კოჰორტის კვლევას, რომლის ტესტირება პირველად 2013-2015წ განხორციელდა (60-79 წლის ასაკის ჯგუფი) და მეორე რე-ტესტირება განხორციელდა 2016-2018 წლებში.

- **კვლევის სახელწოდება:** ქცევითი ენდოფენოტიპები და კოგნიტური ფუნქციების თავისებურებები ფსიქოზურ პაციენტებში
- **მონაწილეები:** მ. როინიშვილი
- **ვადები:** 2018-2022
- **ბიუჯეტი:** N/A
- **დონორი ორგანიზაცია:** EPFL, ლოზანა, შვეიცარია
- **მოკლე ანოტაცია:** კვლევა ხორციელდება პროფ. ჰერცოგის ჯგუფთან (EPFL, ლოზანა, შვეიცარია) და პროფ. ე. ჭყონიასთან (თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი, ფსიქიატრიის დეპარტამენტი) კოლაბორაციის ფარგლებში. კვლევის ძირითადი მიზანია ფსიქოზების ქცევითი ენდოფენოტიპების გამოვლენა, კოგნიტიური დეფიციტისა და მისი ელექტროფიზიოლოგიური კორელატების შესწავლა

*საერთაშორისო თანამშრომლობა*

- **კოლაბორანტი ორგანიზაცია:** ფსიქოფიზიკის ლაბორატორია, შვეიცარიის ფედერალური ტექნოლოგიის ინსტიტუტი ლოზანაში (EPFL)
- **ქვეყანა:** შვეიცარია
- **კოლაბორაციის თარიღი:** მიმდინარე
- **წევრები:** პროფ. მაიკალ ჰერცოგის ჯგუფი
- **მოკლე ანოტაცია:** პროფ. ჰერცოგის ჯგუფთან თანამშრომლობა მოიცავს, როგორც მხედველობითი აღქმის ბაზისური მექანიზმების შესწავლას, ასევე კოგნიტიური და პერცეპციული ფუნქციების შესწავლას ასაკოვან პოპულაციასა, ბავშვებში და ფსიქიკური დაავადებების მქონე ინდივიდებში.

- **კოლაბორანტი ორგანიზაცია:** ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, ფრაიბურგის უნივერსიტეტი
- **ქვეყანა:** გერმანია
- **კოლაბორაციის თარიღი:** მიმდინარე
- **წევრები:** დოქტორ როლანდ თომაშკეს ჯგუფი
- **მოკლე ანოტაცია:** კოლაბორაციის ფარგლებში ჩვენ ვსწავლობთ დროზე დაფუძნებული კოგნიციის ბაზისურ პრინციპებს, მისი ასაკობრივი განვითარების თავისებურებებს და ასევე სხვადასხვა ფაქტორების გავლენას მასზე, მათ შორის ემოციების, თვითპრიორიტეტულობის , ალკოჰილის.

- **კოლაბორანტი ორგანიზაცია:** ქცევის და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი, გრონინგემის უნივერსიტეტი
- **ქვეყანა:** ჰოლანდია
- **კოლაბორაციის თარიღი:** მიმდინარე
- **წევრები:** პროფ. კარინ პილცი
- **მოკლე ანოტაცია:** პროფ. კარინ პილცთან თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება მხედველობითი აღქმის შესწავლა ჯანმრთელი დაბერებისას.

*პუბლიკაციები:*

- Kunchulia, M. Melishvili, A. Thomaschke, R (2021). How does positive mood modulate time-based event expectancy? *Cognitive Processing, 22*(2), 333–338. IF=1.903
- Cretenoud, A. F., Grzeczkowski, L., Kunchulia, M., & Herzog, M. H.(2021). Individual differences in the perception of visual illusions are stable across eyes, time, and measurement methods. *Journal of Vision*, 21(5):26, 1–20. IF=2.24
- Kunchulia,M. Parkosadze, K. Thomaschke R. (2021). School-age children can form timebased event expectancy for context-atypical foreperiods. *Journal of Cognitive Psychology*, 33 (1), 24-37. IF=1.062
- Yevtodiyenko, A., Bazhin, A., Khodakivskyi, P., Godinat, A., Budin, G., Maric, T., Pietramaggiori, G., Scherer, S., Kunchulia, M., Eppeldauer, G., Polyakov, S., Francis, K., Bryan, J. & Goun, E. (2021). Portable biol**um**inescent platform for in vivo monitoring of biological processes in non-transgenic animals. *Nature communications*, 12:2680. https://doi.org/10.1038/s41467-021-22892-9. IF=14.92
- Parkosadze, K., Kunchulia, M., Kezeli, A. (2021). Cognitive Functions in Georgian Children with Dyslexia and Comorbid Dyslexia and Attention-Deficit/Hyperactivity Disorder. *International Journal of Social Sciences: Current and Future Research Trends,* 12, 16-23. IF=0.66
- Garobbio S, Roinishvili M, Favrod O, da Cruz JR, Chkonia E, Brand A, Herzog MH. (2021). Electrophysiological correlates of visual backward masking in patients with bipolar disorder. Psychiatry Res Neuroimaging. 2021 Jan 30;307:111206. doi: 10.1016/j.pscychresns.2020.111206. Epub 2020 Oct 14. PMID: 33092939. IF=2.46
- Kunchulia, M.. Parkosadze, K., Lomidze, N., Tatishvili, T.& Thomaschke, R. (2022). Children with developmental dyslexia show an increased variable foreperiod effect, *Journal of Cognitive Psychology*, DOI: 10.1080/20445911.2022.2060989. IF=1.062.

*საერთაშორისო კონფერენციები:*

- **თარიღი:** 20-24 აგვისტო, 2021
- **კონფერენციის სახელწოდება:** IBRO-APRC Georgian associate school of neuroscience
- **ჩატარების ადგილი:** თბილისი
- **დონორი ორგანიზაცია:** IBRO

- **მოკლე ანოტაცია:** მ. კუნჭულია ზეპირი მოხსენება : “Temporal adaptation in children with dyslexia” . ხ. ფარქოსაძე ზეპირი მოხსენება: „Perceptual learning and effect of training on perception in aging.“

*ალექსიძე ნიკოლოზ*
*წარდგენილი საერთაშორისო კვლევები/გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები:*

- **კვლევის სახელწოდება:** საქართველო და გაერთიანებული სამეფო მე-19 საუკუნის მიწურულს: მარჯორი და ოლივერ უორდროპების პირადი მიმოწერის საფუძველზე (წერილების გამოცემა და ქართული თარგმანი)
- **მონაწილეები:** ნიკოლოზ ალექსიძე, ნინო ბათიაშვილი
- **ვადები:** 2023-2026
- **დონორი ორგანიზაცია:** შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
- **მოკლე ანოტაცია:** კვლევის ფარგლებში შევისწავლით და გამოვცემთ ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცულ დოკუმენტებსა და პოლივერისა და მარჯორი უორდროპების პირად მიმოწერას საქართველოს შესახებ.

*პუბლიკაციები:*

- ‘The Past, the Present and the Time In-Between: Some Thoughts on Early Medieval Historical Thinking in Caucasia’, in *Christian Historiography between Empires, 4th-8th Centuries*, eds. H. Amirav, C. Hoogerwerf, I. Perczel (Leuuven: Peeters, 2021)
- ‘Strangers in a Strange Land: Alienation, Authority, and Powerlessness in Georgian Hagiography (Tenth–Eleventh c.)’, in *Narrating Power and Authority in Late Antique and Medieval Hagiography across East and West*, ed. G. Dabiri (Brepols, 2021).

*სამუშაო მივლინებები:*

- **თარიღი:** 01.10.21 – 31.12.21
- **მივლინების ადგილი:** ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი
- **დონორი ორგანიზაცია:** Institute for Advanced Studies (CEU)
- **მოკლე ანოტაცია:** 2021 წლის შემოდგომაზე ვიყავი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის Institute for Advanced Studies მიწვეული მკვლევარი.

*ასტახიშვილი ერეკლე*
*პუბლიკაციები:*

- მონოგრაფია-ქართველები და გარე სამყარო, ტ.3, თბილისი, 2021, ნატა ახმეტელთან და გიორგი ნარიმანიშვილის თანაავტორობით, გამომცემლობა „შემოქმედი ანგელოზი“
- მონოგრაფია-ქართველები და გარე სამყარო, ტ.4, თბილისი, 2022-მზადდება გამოსაცემად, ნატა ახმეტელთან თანაავტორობით, გამომცემლობა „შემოქმედი ანგელოზი“

*ბათიაშვილი ნუცა*
*საერთაშორისო კვლევები/გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები:*

- **კვლევის სახელწოდება:** Anthropology of Anxiety
- **მონაწილეები:** ნუცა ბათიაშვილი, კეიტი ჰეიტმანეკი, რებეკა ლესტერი, საიბა ვარმა, სტეფანი ლარშანშე, თაუნსენდ მიდლტონი, სიუზან ლეფსელტერი
- **ვადები:** 06.2021-06.2022
- **ბიუჯეტი:** 19320$
- **დონორი ორგანიზაცია:** Wenner Gren Foundation

- **კვლევის სახელწოდება:** Memory and Anxiety
- **მონაწილეები:** ნუცა ბათიაშვილი
- **ვადები:** 2022-2023
- **ბიუჯეტი:** 25000$
- **დონორი ორგანიზაცია:** McDonnell Foundation, Washington University in St Louis
- **მოკლე ანოტაცია:** გრანტი აფინანსებს ერთი მხრივ კოლაბორაციულ პროექტს, რომელშიც მონაწილეობენ ამერიკის სხვდასხვა უნივერსიტეტის მკვლევარები. მეორე მხრივ აფინანსებს უშუალოდ ძირითადი მკვლევარის სავალე კვლევას, ასისტენტის ხარჯებს, ლიტერატურის შეძენას და ამერიკაში 2 ვიზიტს.

- **კვლევის სახელწოდება:** “Caring for ‘National Treasure’: Political Agency of Heritage objects in the Caucasian Highlands
- **მონაწილეები:** ნუცა ბათიაშვილი
- **ვადები:** 2022-2023
- **ბიუჯეტი:** 20000$
- **დონორი ორგანიზაცია:** Wenner Gren Foundation
- **მოკლე ანოტაცია:** კვლევითი გრანტი აფინანსებს საველე სამუშაოებს სვანეთის და თბილისი მასშტაბით.

*__საერთაშორისო თანამშრომლობა__*

- **კოლაბორანტი ორგანიზაცია:** ვაშინგტონის უნივერსიტეტი
- **ქვეყანა:** ამერიკა
- **კოლაბორაციის თარიღი:** 2022-2024
- **წევრები:** ნუცა ბათიაშვილი, ჯეიმს უერჩი, კრისტინა სიმკო, ჯეფრი ოლიკი, მიმუნე ტოფჩუ, დეივიდ ქანენგჰამი
- **მოკლე ანოტაცია:** კვლევით პროექტი გულისხმობს ინტერდისციპლინურ კოლაბორაციას თემაზე „მეხსიერება და შფოთი“, მაკდონელის ფონდი მიერ დაფინანსებული მეხსიერების კვლევის პროექტის ფარგლებში. კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელია ნუცა ბათიაშვილი, რომელიც გულისხმობს ვორქშოფებისა და შეხვედრების სერიას, საბოლოოდ კრებულის გამოცემის მიზნით.

- **კოლაბორანტი ორგანიზაცია:** CUNY, Brooklyn College
- **ქვეყანა:** ამერიკა
- **კოლაბორაციის თარიღი:** 2021-2022
- **წევრები:** ნუცა ბათიაშვილი, კეიტი ჰეიტმანეკი, რებეკა ლესტერი, საიბა ვარმა, სტეფანი ლარშანშე, თაუნსენდ მიდლტონი, სიუზან ლეფსელტერი
- **მოკლე ანოტაცია:** კოლაბორაციული პროექტი „შფოთის ანთროპოლოგია“ გულისხმობდა ერთობლივი ვორქშოფების ორგანიზებას თავისუფალ უნივერსიტეტში. თანაორგანიზატორი კეიტი ჰეიტმანეკი.

*პუბლიკაციები:*

- *Lotman and Memory Studies* (co-authored with James V Wertsch & Tinatin Inauri) in "The Bloomsbury Handbook of Juri Lotman", Eds Marek Tamm (2022)
- *Using a Golden Age: National Memory of Georgia's Favorite King*, in "National Memories: Constructing identites in Populist Times" eds James V Wertsch, Henry, L. Roedigger III, Oxford University Press (2022)

*სამუშაო მივლინებები:*

- **თარიღი:** ოქტომბერი-ნოემბერი 2021
- **მივლინების ადგილი:** University of Uppsala
- **დონორი ორგანიზაცია:** University of Uppsala
- **მოკლე ანოტაცია:** ერთ თვიანი კვლევითი ვიზიტი რუსეთისა და ევრაზიის კვლევის ცენტრის მიწვევით. ვიზიტი მოიცავდა კვლევით საქმიანობას და საჯარო ლექციის წაკითხვას.

- **თარიღი:** 10 იანვარი - 18 მარტი 2022
- **მივლინების ადგილი:** Oxford University, Oriental Institute
- **დონორი ორგანიზაცია:** Oxford University
- **მოკლე ანოტაცია:** კვლევითი ვიზიტი გულისხმობდა კვლევით საქმიანობასა და საჯარო ლექციის წაკითხვას.

*საერთაშორისო კონფერენციები*

- **თარიღი:** 07.05.2022
- **კონფერენციის სახელწოდება:** ASN convention
- **ჩატარების ადგილი:** Columbia University/zoom
- **დონორი ორგანიზაცია:** Association for Nationalities Studies
- **მოკლე ანოტაცია:** წარდგენილი სტატია: Treason Anxiety

- **თარიღი:** 19.11. 2021
- **კონფერენციის სახელწოდება:** Annual meeting American Anthropological Association
- **ჩატარების ადგილი:** zoom
- **დონორი ორგანიზაცია:** AAA

- **მოკლე ანოტაცია:** პანელის ორგანიზატორი Narrative Anthropology, წარდგენილი სტატია: Narratives and National Anxiety: Plot-Based Political Cognition

*ბერეჟიანი ვაჟა*
*პუბლიკაციები:*

- Solitary structure formation and self-guiding of electromagnetic beam in highly degenerate electron plasma. V.I. Berezhiani, Z.N. Osmanov, S.M. Mahajan, S.V. Mikeladze. Physics of Plasmas 28, 052104 (2021). (Impact factor: 1.830)
- Electromagnetic vortex beam dynamics in degenerate electron-positron astrophysical plasmas. V.I. Berezhiani, Z.N. Osmanov, S.V. Mikeladze. Physics Letters A 448, 128323 (2022). (Impact factor: 2.7)

*ეზუგბაია ლალი*
*წარდგენილი საერთაშორისო კვლევები/გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები:*

- **კვლევის სახელწოდება:** ლაზურ-მეგრული გრამატიკა, II. მარტივი წინადადების სინტაქსური ანალიზი
- **მონაწილეები:** ლალი ეზუგბაია (თავისუფალი უნივერსიტეტი), ჭაბუკი ქირია, კახა გაბუნია, სოფიკო ბერულავა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- **ვადები:** 2023, თებერვალი - 2026, თებერვალი
- **ბიუჯეტი:** 180000
- **დონორი ორგანიზაცია:** შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
- **მოკლე ანოტაცია:** პროექტით გათვალისწინებულია ლაზურ-მეგრულის მარტივი წინადადების სინტაქსის ფუნდამენტური კვლევა. ის დაემყარება ჩვენ მიერ გამოცემულ მონოგრაფიას „ლაზურ-მეგრული გრამატიკა. I. მორფოლოგია“ , რომელიც მომზადდა რუსთაველის ფონდის პროექტის მიხედვით 2011-2014 წლებში. პროექტის განხორციელების შედეგად შეიქმნება მონოგრაფია „ლაზურ-მეგრული გრამატიკა. II. მარტივი წინადადების სინტაქსური ანალიზი“. ეს იქნება პირველი მცდელობა, ტრადიციული და თანამედროვე სინტაქსური თეორიების გათვალისწინებით ახალი, არსებითად დამოუკიდებელი სინტაქსის შექმნისა.

*საერთაშორისო თანამშრომლობა*

- **კოლაბორანტი ორგანიზაცია:** მალმოს უნივერსიტეტის კულტურისა და საზოგადოების ფაკულტეტი.
- **ქვეყანა:** შვედეთი
- **კოლაბორაციის თარიღი:** 2022 წლის თებერვალ-მარტი
- **წევრები:** კარინა ვამლინგი, უფროსი ლექტორი, კავკასიოლოგი
- **მოკლე ანოტაცია:** კარინა ვამლინგი არის 2022 წლის მარტში რუსთაველის ფონდში წარდგენილი ჩვენი პროექტის „ ლაზურ-მეგრული გრამატიკა. I. მარტივი წინადადების სინტაქსური ანალიზი“ ოფიციალური კონსულტანტი. აქტიური თანამშრომლობა შედგა პროექტის კვლევითი ნაწილის მეთოდოლოგიურ საკითხებზე. გათვალისწინებული იქნა ის ნაშრომები და მეთოდები, რომლებიც თანამედროვე სინტაქსურ თეორიებს წარმოადგენს. ამ თანამშრომლობის შედეგად შესაძლებელი გახდა არნ. ჩიქობავას სინტაქსური თეორიის, რომელიც ყველაზე მეტად ორგანულად ასახავს ქართველური წინადადების სინტაქსურ მექანიზმს, დაახლოება თანამედროვე კვლევით ინსტრუმენტებთან. პროექტის დაფინანსების შემთხვევაში კარინა ვამლინგი ჩაერთვება კვლევით პროცესშიც.

*საერთაშორისო კონფერენციები:*

- **თარიღი:** 7-8 ოქტომბერი, 2021
- **კონფერენციის სახელწოდება:** „ენები ციფრულ ერაში: თანამედროვე ტექნოლოგიები მწირრესურსებიანი ენებისთვის“
- **ჩატარების ადგილი:** თბილისი
- **დონორი ორგანიზაცია:** სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი „ტილდე“;
- **მოკლე ანოტაცია:** თანაავტორებთან (რატი სხირტლაძე, მარიამ მანჯგალაძე...) ერთად წარვადგინეთ მოხსენება „ენაგრამა“- პლატფორმა მწირი რესურსების მქონე ენებისთვის“. შეიქმნა პლატფორმა „ენაგრამა“, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის მომსახურებას (სმენის, მეტყველების, მართლწერის კომპიუტერული პროგრამები) არა მხოლოდ ქართული ენისთვის, არამედ აფხაზური, ოსური, ჩერქეზული და სხვა საფრთხის წინაშე მდგარი ენებისთვის.

*კაპანაძე დავით*
